ლაზი

№156
(12 226)

5 ივლისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ქალაქე მაგთის ზონაში 3

ცქიტიშვილი: პანიონიოსი მორჩა 3

ბარაბაძეც იენაში 3

ქებაძე ოლიმპში დაბრუნდა 4

შავი ზღვის თამაშეები 2007

ბარაქიანი დღე: ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო

გიორგი დავითაია

თათია ბურდული
თენგიზ გაჩეჩილაძე

ტრაბზონიდან

უკვე გადაწყვეტილია: შავი ზღვის აუზის თამაშების მეორე ასპარეზობა აუცილებლად ჩატარდება და მას რუმინეთი უმასპინძლებს. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც რეგიონის ქვეყნების უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი რიგით მეორე თამაშების გამართვას და თანხმობა მისცეს რუმინეთს, ესტაფეტა მიიღოს თურქეთისგან. რა თქმა უნდა, ყველა იმედოვნებს, რომ 2010 წელს რუმინეთში (ქალაქი დასახელდება მოგვიანებით) ის შეცდომები და ექსცესები აღარ განმეორდება, რასაც აქ, ტრაბზონში აქვს ადგილი. არადა, ახალ-ახალი სიურპრიზები თითქმის ყოველდღე იჩენს თავს. ტრაბზონის ევროპული დონის სტადიონზე რომ ელექტროტაბლო არ იმუშავებს, მართლა გასაკვირია. გარდა იმისა, რომ სასადილოდან ჩაი გაქრა და



პაატა ბაკურიძე

სხვა საკვებიც (სპორტსმენებისთვის) ქირს, მთელ რიგ ობიექტებზე სამუშაოები ჯერ კიდევ შეჯიბრებების პარალელურად მიმდინარეობს...

მაგრამ ასეა თუ ისე, თამაშები პროგრამის მიხედვით გრძელდება. სხვა საკითხია დონე, სპორტსმენთა ოსტატობა. ჯერ რაც ვნახეთ, ბრძოლები უშელავათოა და აზარტული, ზოგჯერ ზედმეტადაც, როგორც ეს თინეიჯერული ასაკის სპორტსმენებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ჩვენი მწვრთნელები აცხადებენ, სპორტის მთელ რიგ სახეობებში უფრო ძლიერი შემადგენლობა გვეყოლებოდა, რომ არა საქართველოში მიმდინარე საერთო-ეროვნული გამოცდები. ეს მხოლოდ ჩვენ გვეხება. სხვა ქვეყნებს, რომლებიც თამაშებში მონაწილეობენ, ეს პრობლემა არ აწუხებთ - იქ სპორტსმენებს გამოცდები გადაუვადეს. საინტერესო ამბავი გვითხრა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელმა და ამავე სახეობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ყარამან საბანაშვილმა**. მტყორცნელი **სალომე რიგიშვილი** მისი შეგირდია.

ვრცლად 9

გორდონ ჰერბერტი გაოცებული და აღფრთოვანებულია

გუშინ, საქართველოს ნაკრების სამდღიანი წინასწარი შეკრება დასრულდა. ეროვნული გუნდის თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა ჩვენი ჩემპიონატის მოთამაშეთა პარალელურად, ის ლეგიონერებიც იხილა, რომელთაც მანამდე არ იცნობდა. ბოლო ვარჯიში მწვრთნელმა ხალისიანი განწყობით და ფრიად კმაყოფილმა დაასრულა...

ვიდრე ნაკრების მწვრთნელის მოსაზრებებს გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ სანვრთნელი პროცესის დროს გარკვეული ცვლილებები მოხდა: ნაკრებს მეორე დღესვე გამოაკლდნენ მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის მონანილე 20-წლამდელები: **რევაზ დიდია, მიხელ ბერიშვილი, გიორგი შერმადინი** და **რიჩარდ მათიაშვილი**. სამაგიეროდ, ჰერბერტის კრებული ორი კაცით შეივსო: სლოვენიიდან დაბრუნდა **ანატოლი ბოისა** და "ბარსელონიდან" ჩამოვიდა 1990 წელს დაბადებული **კოკა ტომარაძე**. ვარჯიშის დასრულებისა და ფინეთში გამგზავრების წინ, **გორდონ ჰერბერტმა** პრესკონფერენცია გამართა:

"მიუხედავად იმისა, რომ შეკრება მხოლოდ სამ დღეს გაგრძელდა, მაინც ბევრის ნახვა მოვასწარი. გავეცანი ყველა კალათბურთელს, თუმცა ნაწილთან შარშან და შარშანწინაც ვმუშაობდი. ვგულისხმობ შიო ხეცურიანს, ლაშა გამყრელიძეს, ანატოლი ბოისას, კოტე ტულუშს, დავით უგრეხელიძეს... შეკრება ნაყოფიერი იყო და გამოგიტყდებით, ეროვნული გუნდისთვის კანდიდატების შერჩევა ძალიან გამიჭირდება".

იქვე, მწვრთნელმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს:

"თუ ვინ დაემატება ლეგიონერებს, მოსაფიქრებლად დრო დამჭირდება, დაახლოებით ერთი კვირა, მეტი არა. მომავალ სამშაბათს, 18 ივლისის შეკრებაზე გამოძახებულთა სრულ სიას შევადგენ და გავაცნობ როგორც კალათბურთის ფედერაციას, ასევე მასმედიას. ჯერ ზუსტად ვერც იმას გეტყვით, რამდენი მოთამაშე იქნება სიაში. ერთი მხრივ, ძირითადი შემადგენლობის წევრებს შესაფერისი კონკურენტები სჭირდებათ, მეორე მხრივ კი, ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე შევამციროთ შემადგენლობა 12 მოთამაშემდე, რადგან სწორედ ამ 12 კალათბურთელის ზურგზე უნდა გადაიაროს ოფიციალურმა მატჩებმა და მათი შეთამაშებაც მნიშვნელოვანია".



გორდონ ჰერბერტის პრესკონფერენცია 9

კალაშნიკოვა უიმბლდონის მერვედფინალში გაისვრის

ოქსანა კალაშნიკოვა უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის მესამე წრეშია. წუხელ მან მე-4 კორტზე ბრიტანელთა იმედს, **ნაომი ქევედეის** მოუგო - 6:3, 6:4. ბრიტანელი, რომელიც წლეულს უიმბლდონზე დიდების ბადეში თამაშობდა და **მარტინა ჰინგისს** ერთი სეტი 7:6 მოუგო (მხოლოდ დიდი ბრძოლის შემდეგ დამარცხდა შვეიცარიელ გრანდთან), ოქსანამ აუღელვებლად, 56 წუთში დაამარცხა. კალაშნიკოვა 3:0 დანინაურდა და პირველი სეტი მშვიდად მიიყვანა ბოლომდე, მეორე სეტის პირველივე მოწოდებაც აართვა მეტოქეს და ფინალურ გეიმამდე წყნარად მიატანა. ნაღდი ბრძოლა სწორედ ბოლო გეიმში იყო, როცა ქევედეიმ თავს ძალა დაატანა და ქართველი ჩოგბურთელის მონოდებაზე 30:0 დანინაურდა, თუმცა ამას კალაშნიკოვას მიერ ზედიზედ ოთხჯერ მოგებული გათამაშება მოჰყვა. 16 წლის ოქსანამ წუხელ ოთხი "ეისი" ჩააგდო. უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის მერვედფინალში ოქსანა კალაშნიკოვა ძალიან ძლიერ პოლონელს, მე-6 ნომრად განთესილ **ურსულა რადვანსკას** ხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩახნაშვილმა კუნეო მოგებით დაიწყო

9

გვატემალაში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი გაირკვა

სოჭი 2014

ვრცლად ხვალინდელ ნომერში

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ სანდრო იაშვილთან

ბედნიერი კაცი ვარ!

თუნის ვიცე-პრეზიდენტის ასმეტრიანი ჟესტი

სანდრო იაშვილს გუშინ "თუნის" ფორმა არ მოურგია. "ივერდონთან" შეხვედრაში შვეიცარიელთა მთავარმა მწვრთნელმა რენე ვან ეკმა იგი სანდრო დაასვენა. თამაშის დროს იგი სათადარიგო მოედანზე გუნდის რამდენიმე წევრთან ერთად ვარჯიშობდა.

საინტერესო ფაქტი მოხდა - ქართველი მოთამაშე ევროპულ კლუბში გასინჯვის გარეშე ჩაირიცხა. სანდროს მენეჯერი მალხაზ მუსერიძე ახალგაზრდა კაცია, მაგრამ უკვე მესამე ისეთი ტრანსფერი განახორციელა, ბევრ გამოცდილ მენეჯერს რომ შეშურდება - გიორგი ნემსაძესთან ერთად, ლევან მელქაძე ორი წლის წინათ "ვალერენგაში" ჩარიცხა, სამი წლის წინათ ლადო ახალაია - "ციურიხში", ახლა კი სანდრო იაშვილი "თუნში", რომელმაც ორი წლის წინათ ლიგის მეორე ეტაპიდან ასე ნაქები კიევის "დინამო" გამოაგდო.

ტენდენციაც აღსანიშნავია - მუსერიძეს ფეხბურთელები დასავლეთ ევროპაში მიჰყავს, სხვა საქმეა, რომ მელქაძემ და ახალაიამ კარიერა ვერ აიწყვეს.

- მე სააგენტო "სპორტ-ვიზიონს" წარმოვადგენ -ამბობს მალხაზ მუსერიძე, - მას ევროპელებისთვის დამახასიათებელი გამჭირვალობა ახასიათებს. ჩვენ არ ვცდილობთ მოთამაშის ჩარიცხვას ფულის გათეთრებით და ეს საქმეს გვიადვილებს. დანარჩენი უკვე პატარა საიდუმლოა, რომელსაც ვერ გავამხელ. ჩვენ ფეხბურთელით კი არ ვცდილობთ ფულის შოვნას, მათი მენეჯერები ვართ. ეს სხვაგვარად აღმოსავლეთ ევროპაში ესმით. მართალია, სანდრომ კონტრაქტი უკვე გააფორმა, მაგრამ გუნდთან ინტეგრაცია რომ გაუადვილდეს, საჭიროების შემთხვევაში, ორი კვირაც დავრჩები.

ისე, ახალ გუნდში ცხადად გამოჩნდა, რა "მძიმე" ხასიათი აქვს სანდროს. მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა და ტელევიზიასთან ინტერვიუში თქვა, რომ კარგი ფეხბურთელი და პიროვნება შევიძინეთო. დანარჩენი თავად სანდროზეა დამოკიდებული, თავს როგორ გამოიჩენს.

სხვათა შორის, "თუნის" პრეზიდენტი კლინიკაში იწვა, მხარზე ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და წინასწარ ვიცოდით, რომ კონტრაქტზე ხელი ვიცე-პრეზიდენტს უნდა მოეწერა. ის კი მოულოდნელად საავადმყოფოდან გამოეწერა, მინდა, პირადად მოვაწერო ხელი და სანდრო გავიცნოო.

- გულახდილად გვითხარით, "დინამო" ტრანსფერით იხეირებს?

- ასტრონომიული თანხა არაა, თუმცა დღეისთვის ქართველ მოთამაშეში მეტს ვერავინ გადაიხდის.

- მართალია, თითქოს მას "ჰოფენჰაიმი" იწვევდა?

- დიახ, მაგრამ გასინჯვაზე და თავად თქვა უარი. იყო ლაპარაკი ვენის "რაჰიდთან", "ფრაიბურგთან", "ოდენსესთან", პაოკ-თან, ინტერესი შემორჩა "რეინჯერსსაც", მაგრამ ყველაზე აქტიური "თუნი" აღმოჩნდა.

ყველაფერს თავი დავანებოთ, უცნობი ქვეყნიდან გაუსინჯავად აიყვანეს თავდამსხმელი, მისცეს პრესტიჟული 10-ნომრიანი მაისურა. ეს უკვე მეტყველებს, რომ დიდი იმედით მიყურებენ.

- ახლა მაინც არ იტყვით, რა მოხდა "კობლენცში"?

- ამ თემაზე არ ვისაუბრებ.

გუშინ, სანდროსაც დავუკავშირდით და კონტრაქტის გაფორმების შემდეგ პირველი ინტერვიუ ჩამოვართვით.

- სანდრო, უპირველესად, გილოცავ ახალ გუნდში გადასვლას.

- მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც ჩემი ამბავი გაუხარდა. პირადად მე, "თუნთან" კონტრაქტით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი მენეჯერი დიდი ხანი ეძებდა სათანადო კლუბს და ვფიქრობ, საუკეთესო ვარიანტი შემირჩია.

- როგორია პირველი შთაბეჭდილება?

- პირველიც მაგარია და მეორეც. ძალიან კარგ განწყობაზე ვარ. გუნდში ისეთი ატმოსფერო დამხვდა, აქ მოხვედრა მართლა სანატრელია. უნდა ნახოთ, ფეხბურთელებს ერთმანეთისადმი როგორი სითბო და კეთილგანწყობა გააჩნიათ. გუნდი ესაა!

- "ივერდონთან" რატომ არ ითამაშე?

- ჯერ ფორმა უნდა აღვიდგინო. საამისოდ ინდივიდუალური ვარჯიშები დამინიშნეს და ჩემი თამაში სასურველი არ იყო. ამას გარდა, თამაშს იმიტომაც მოვერიდე, რომ შეხვედრა ხელოვნურ-საფარიან მოედანზე ჩატარდა. მთავარია, 21 ივლისს "სიონთან" მატჩს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდე.

- რა ამბიციები აქვს ნლეულს "თუნს"?

- წელს დიდი ამბიციები აქვს, ხუთეულსა და უეფას ზონაში უნდა მოხვდეს და თავის გამოჩენის დიდი შანსი მექნება.მოთამაშეები ისეთი მონდომებულები და ერთსულოვნები არიან, ასეთი განწყობით ბევრს შევძლებთ.

- შვეიცარიაში სამი ოფიციალური სახელმწიფო ენაა. რომელიმეზე თუ საუბრობ?

- თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაფერს იოლად ვაგებინებ. მათთან საერთო ენა ისე იოლად და უპრობლემოდ გამოვნახე, თითქოს კლუბში დიდი ხნის წინათ ჩარიცხული ვიყო... ახლაც შორიდან დამინახა ვიცე-პრეზიდენტმა, ასი მეტრი გადმოირბინა და მომესალმა. ხელმძღვანელობა და მწვრთნელები ფეხბურთელებზე გადაყოლილები არიან, საქართველო კი არაა. აი, ჩვენმა მწვრთნელებმა მაგალითი ამათგან უნდა აიღონ. ჩამოვიდნენ და ნახონ, მოთამაშეებს როგორ უფრთხილდებიან.

- ახლა სანაკრებო ამბიციები გაგეზრდება.

- ამბიცია ისედაც მქონდა. ბედნიერი კაცი ვიქნები, თუკი ტოპმიოლერი მიმიწევს.

მერაბ მამულაშვილი

ვინ უპატრონებს სიონს?

ფოლკსვაგენი თუ ისევ მადნეული?

ბოლნისის "სიონის" ირგვლივ კვლავ გაურკვევლობაა. კლუბს ბოლნისის გამგეობა პატრონობს, მაგრამ გამგეობა და ქვემო ქართლის გუბერნატორი **ზურაბ მელიქიშვილი** "სიონის" ხელმძღვანელობასთან ერთად, კლუბისთვის ახალ, ძლიერ მეპატრონეს ეძებს. ეს პროცესი უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს სააქციო საზოგადოება "მადნეულთან" და მის ხელმძღვანელ **კობა ნაყოფიასთან.** ჩვენი ინფორმაციით, მოლაპარაკებებში საქართველოში "ფოლკსვაგენის" წარმომადგენლობაც მონაწილეობდა.

ჩვენს მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, გუშინ "ფოლკსვაგენმა" და "მადნეულმა" "სიონის" აქციათა საკონტროლო პაკეტის სიმბოლურ ფასად შეძენისგან თავი შეიკავეს. სახელმწიფოს მიერ საფეხბურთო კლუბის სპონსორობაზე ფირმებისთვის გარკვეული შეღავათები რომ იყოს დანესებული, თანხმობას ვიტყოდითო – ზოგის მტკიცებით, ასე უთქვამთ ზემოთ ნახსენებ კომპანიებს. თუმცა, საქმეში ჩახედულ პირთა მტკიცებით, მათი მხრიდან საბოლოო უარს ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს.

"გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ჯერჯერობით, ჩვენი კლუბის ირგვლივ კვლავ გაურკვევლობაა. თუ "ფოლკსვაგენი" ან "მადნეული" გახდება ჩვენი კლუბის მეპატრონე, ამას რა აჯობებს. რამდენადაც ვიცი, ყველაფერი ხვალ უნდა გაირკვეს", - გვითხრა "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა**.

დავუკავშირდით ბოლნისური კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **დავით სილაგაძესაც:**

"ჯერჯერობით, ახლს ვერაფერს გეტყვით. არანაირი პასუხი არ მიგვიღია და რა უარზეა საუბარი? სააქციო საზოგადოება "მადნეული" ჩვენი გენერალური სპონსორია და გვაფინანსებს კიდეც. თუმცა, იმას არ უარვყოფ, რომ კლუბის ახალი მეპატრონის მოძიებაზე მიმდინარეობს მუშაობა. მოლაპარაკებებიც იმართება, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიგვიღია. ვფიქრობ, ხვალ-ზეგ ყველაფერი გაირკვევა."

სილაგაძისგანაც კონკრეტული ვერაფერი გავიგეთ და ქვემო ქართლში პრეზიდენტის რნუმებულ **ზერაბ მელიქიშვილს** შევეხმიანეთ.

"მოლაპარაკებები მიმდინარეობს. იმედი გვაქვს, ეს საქმე დადებითად გადაწყდება. "მადნეულთან" და კიდევ ერთ სოლიდურ ბიზნეს-ჯგუფთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და ვნახოთ, რა გამოვა. თუ არა და, "სიონი" მაინც იასპარეზებს. ხმები იმის თაობაზე, რომ გუნდი დაიშლება, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდულია," – განაცხადა მელიქიშვილმა.

დღეს 5 ივლისია, ანუ ბოლო თარიღი იმ ვადისა, როცა უმაღლესი ლიგის კლუბებმა პროფლიგაში, ახალი სეზონისთვის 300 ათასი ლარის ფინანსური გარანტიები უნდა წარადგინონ. ზურაბ მელიქიშვილის მტკიცებით, დღეს პროფლიგაში "სიონი" 300 ათასი ლარის გარანტიას აუცილებლად წარადგენს და ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

ერთი სიტყვით, წესით, "სიონის" ირგვლივ ბურუსი დღეს უნდა გაიფანტოს და გაირკვეს, თუ ვინ უპატრონებს კლუბს, რომელიც შარშან ქვეყნის ჩემპიონი გახდა. საგულისხმოა ისიც, რომ **კახა ცხადაძის** წასვლის შემდეგ, ბოლნისელთა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი კვლავაც ვაკანტური რჩება. მეპატრონესთან ერთად, "სიონის" ახალი თავკაცის ვინაობაც წესით, მალე უნდა გაცხადდეს.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

კობი ხუმრობას დღეიდან იწყებს

ლევან კობიაშვილი

ბელზენკირხენის "შალკე 04"-მა ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო და ტესტმატჩიც ჩაატარა - ერთ-ერთ ქვედალიგელს 6:0 მოუგო. **ლევან კობიაშვილს** კი არ უთამაშია და ცხადია, დავინტერესდით, თუ რამ გამოიწვია მისი არყოფნა. *"გერმანიაში დღეს ჩავედი, "შალკემ" კი მზადება 26 ივნისიდან დაიწყო. მე და ყველა იმ ფეხბურთელს, რომელთაც ივნისის დასაწყისში სანაკრებო მატჩების თამაში მოუწია, კლუბმა შელავათი გაგვიწია და შვებულება გაგვიხანგრძლივა",* - გვითხრა კობიაშვილმა, ვისაც გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ. ლევანს ისიც ვკითხეთ, თუ კონკრეტულად რა მიზნისთვის იბრძოლებს "შალკე" დამდეგ სეზონში.

"მიზანი იგივეა - ბუნდესლიგის ზედა სამეულში უნდა ვიყოთ და ჩემპიონთა ლიგაზე რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ. "შალკე" სატრანსფერო საქმიანობას აქტიურად შეუდგა. გუნდში ხუთი ახალი ფეხბურთელია, მათგან ძალიან ცნობილი არავინაა, თუმცა ერთზე ამბობენ, ძალიან ნიჭიერია. ხორვატული წარმოშობის ივან რაკიტიჩი ჩვენებმა შვეიცარულ "ბაზელიდან" გადმოიყვანეს და მასში საკმაოდ დიდი ფული გადიხადეს. რაკიტიჩი 19 წლისაა და ორი ნომრის პოზიციაზე ითამაშებს. "შალკეს" ამით არ დუმთავრება ტრანსფერებზე მუშაობა - განელი სტეფანპაპა უკვე დიმიტეს "ფენერბახჩედან", კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის შეძენასაც აპირებს", - გვამცნო კობიაშვილმა.

გუშინ "ლელობი" ვწერდით, რომ "კიკერმა" კობიაშვილი **კრისტიან პანდერს** შეადარა და ივარაუდა, დაცვის მარცხენა ფლანგზე თამაშის ოდნავ მეტი შანსი მას აქვსო.

"ამ გამოცემას თავისი აზრი აქვს. ჩემთვის ჯერ არავის უთქვამს, რომ მარცხენა მცველად თამაშს მიპირებენ. არა მგონია, ამ პოზიციაზე გადამიყვანონ", - გვითხრა კობიაშვილმა, ვისაც **მირკო სლომკა** წინა სეზონში ძირითადად მარცხენა საყრდენად ათამაშებდა.

დავით თავართქილაძე

ქართველები რუსეთში

ქართველი ქართველის ნაცვლად

რუსეთის პირველ დივიზიონში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. მარცხი ინვნია მახაჩყალის "ანჟიმ" და სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გაიუარესა. **ომარ თეთრაძის** გუნდმა სტუმრად მოსკოვის "ტორპედოსთან" 1:2 წააგო. ამჯერად თავი ვერაფრით გამოიჩინა **გოჩა ხოჯავამ,** რომელმაც მოედანზე 45 წუთი დაჰყო. პირველი ტაიმის შემდეგ მან **ზურაბ არზიანი** შეცვალა. 19 ტურის შემდეგ, "ანჟი" 31 ქულით მე-7 ადგილზეა და მთელი 9 ქულით ჩამორჩება მეორეადგილოსან "ტერეკს". შეგახსენებთ, პრემიერლიგაში ორი გუნდი გადადის.

"ალანიასთან" გასვლით მატჩში სრულად ითამაშა **პაატა ჯინჭარაძემ,** მაგრამ ბრიანსკის "დინამოს" ვერაფრით შეეწია. ვლადიკავკაზელებმა 3:2 გაიმარჯვეს. "დინამო" მეხუთე პოზიციაზეა და "ანჟის" ერთი ქულით უსწრებს.

ლევან ჯანეზაშვილი

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

კახა კალაძე პრესკონფერენციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კახა კალაძე მაგთის ზონაში

ერთწლიანი და ექსკლუზიური

უკვე ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** კომპანია "მაგთის" სახე გახდა. გუშინ, ნაშუადღევს, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ თემას მიეძღვნა. პრესის წინაშე "მაგთის" გენერალური მენეჯერი **დევიდ ლი**, მარკეტინგის სამსახურის უფროსი **ირაკლი ლობჟანიძე** და კახა კალაძე წარსდგნენ.

"კახა კალაძესთან კონტრაქტი გავაფორმეთ და მსოფლიო ფეხბურთის ქართველი ვარსკვლავი დღეიდან "მაგთის" სახეა. მისი მონაწილეობით "მაგთის" პირველი სარეკლამო კლიპზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ამ კლიპს სექტემბერში იხილავთ. კლიპის შინაარსზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. იმის თქმა კი შემიძლია, რომ ამ კლიპში კახა კალაძე ფეხბურთელის ამპლუაში არ იქნება. ის ფეხბურთის გარეშეც ცნობილი ადამიანია", - განაცხადა დევიდ ლიმ.

"კახა კალაძესთან გაფორმებული კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. მასთან ექსკლუზიური, ერთწლიანი ხელშეკრულება გვაკავშირებს. ორივე მხარე კმაყოფილია, ჩვენი თანამშრომლობა ალბათ, შემდგომშიც გაგრძელდება", - აღნიშნა ირაკლი ლობჟანიძემ.

კახა კალაძემ კი შემდეგი განაცხადა: "ჩვენ, "ბილანის" ფეხბურთელებს "დოლჩე & გაბანასთან" გვაქვს კონტრაქტი. "მაგთისთან" კონტრაქტით კმაყოფილი ვარ და ამ კომპანიას სიამოვნებით გავუწევ რეკლამას. კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე ვერაფერს გეტყვით. ეს თანხა საბურთალოზე, ნუცუბიძის პლატოზე მდებარე მიუსაფარ ბავშვთა სახლსა და სამტრედიაში ეკლესიის მშენებლობას მოხმარდება".

დავით ცაბაძე

ტრანსფერის მოლოდინში

ცქიტიშვილი პანიონიოსს საბოლოოდ დაეშვიდობა

გერმანია, ჰოლანდია, თუ...



ლევან ცქიტიშვილი

როგორც გახსოვთ, შარშან ზაფხულში ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა **ლევან ცქიტიშვილმა** ბერძნულ "პანიონიოსთან" კონტრაქტი 1+1 სისტემით გააფორმა. გასული სეზონის დასრულების შემდეგ კი უკვე თავად ცქიტიშვილის გადასაწყვეტი იყო, გააგრძელებდა თუ არა ელადელებთან ხელშეკრულებას. ლევანი არ აჩქარებულა, დაფიქრდა და საბოლოოდ გადაწყვიტა, ათენურ კლუბს გამოსთხოვებოდა. ამ გადაწყვეტილების შესახებ ლევანმა გუშინ სატელეფონო საუბარში გვითხრა.

"დიახ, მართალია. კონტრაქტი 1+1-წლიანი სისტემით მქონდა. გადავწყვიტე, "პანიონიოსში" აღარ გავაგრძელო კარიერა. ასე რომ, ხელშეკრულება აღარ გავახანგრძლივე. ხვალ ათენში მივფრინავ, საბოლოოდ ავიბარგები...

კი, პაოკ-ის ვარიანტიც იყო, მაგრამ ამ საქმეს გაგრძელება აღარ მოჰყოლია. როგორც ჩანს, "პანიონიოსთან" ერთად, საბერძნეთსაც დავტოვებ, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, თუ სად გავაგრძელებ კარიერას. ტრანსფერზე ჩემი აგენტი მუშაობს და იმედია, კარგ გუნდს მომინახავს.

არა, "ალკმაარი" აღარ დამკავშირებია. გერმანია? ვერაფერს გეტყვით. თუ გერმანულ გუნდში მომიწევს გადასვლა, ამ ქვეყანაში სიამოვნებით დავბრუნდები", - ამბობს ლევან ცქიტიშვილი.

დავით ცაბაძე

იენის "კარლ ცაისი" ქართველების გუნდად ყალიბდება.

მეორე ბუნდესლიგაში თამაში ქართველებისთვის ურიგო პერსპექტივა არ უნდა იყოს. აქამდე ცნობილი იყო, რომ იენელები სამ ქართველ ფეხბურთელთან, ილია კანდელაკთან, გიორგი სეთურიძესა და გიორგი ონიანთან აპირებდნენ ხელშეკრულების გაფორმებას.

ინფორმაცია "კარლ ცაისის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოჩნდა. კლუბის სპორტული დირექტორის, ლუტც ლინდემანის თქმით, ამ სამეულის "კარლ ცაისში" ჩარიცხვის დიდი შანსია.

მათ კიდევ ერთი ჩვენებური, დნეპროპეტროვსკის "დნეპრისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 18 წლის ფორვარდი რევაზ ბარაბაძე შეუერთდება. ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა:

- დიახ, ასეა, გერმანიის ვიზას ველოდები, ჩავალ და კონტრაქტი უნდა გავაფორმო. ეს ამბავი ორიოდ დღის წინათ მითხრეს და ძალიან გამეხარდა. რუსეთსა და უკრაინას გერმანიაში გადასვლა მერჩივნა და ასეც მოხდა. გაზრდა იქ უფრო შესაძლებელია. სულ სხვა ტრადიციები და დონეა.

- საკმაოდ უცნაურია, რომ ევროპაში ჯერაც უცნობი ქართველი, გასინჯვის გარეშე აფორმებ კონტრაქტს.

- კი, ჩემთვისაც უცნაურია, მაგრამ სასიამოვნოც. მენეჯერმა კარგად იმუშავა.

- რამდენწლიანი ხელშეკრულება უნდა გააფორმო?

- ალბათ, ოთხწლიანი, 1+3 სისტემით.

ლეგიონერი

ბარაბაძე: ოთხი წლით კარლ ცაისში

- გულახდილად რომ ვთქვათ, "დნეპრში" გამოსვლით კმაყოფილი ვერ დარჩებოდი, რადგან მხოლოდ დუბლებში თამაშობდი. მეორე ბუნდესლიგა კი ხელწამოსაკრავი არაა. ასე რომ, შენი ასაკის ბიჭისთვის საკმაოდ სარისკო ნაბიჯია.

- ეს ჩემთვის არის გამოწვევა და დიდი შანსი, თავი რომ გამოვიჩინო. გერმანიაში თამაში პრესტიჟულია და იქ თუ ავთამაშდი, მერე გზა ყველგან გამეხსნება, გერმანიის ჩემპიონატს ხომ მთელი ევროპა უყურებს. ეს ფაქტორი განსაკუთრებულ სტიმულს მაძლევს. რა თქმა უნდა, სერიოზული დონეა და იქ გადასვლა ჩემთვის ბედნიერებაა. ამიტომაც, თავი უნდა გამოვიჩინო.

- აქედან გამომდინარე, "კარლ ცაისში" წამსვლელებს დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ - თქვენზეა დამოკიდებული, ქართველებს როგორი თვალით შემოგხედავენ. იაშვილმა, კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა "ფრაიბურგში" კარგი სახელი დატოვეს და ახლა იქ ქართველებს გზა ხსნილი აქვთ.

- რა თქმა უნდა. კარგი ისაა, რომ "კარლ ცაისში" ერთბაშად ოთხი ქართველი ვიქნებით და ჩემზე გამოცდილი ბიჭების გვერდით უფრო კარგად და თავისუფლად ვითამაშებ. ოთხი კაცი ნახევარი გუნდია და უფრო გაგვიადვილდება. ონიანი უკვე გერმანიაშია, მე, სეთურიძე და კანდელაკი კი ვიზას ავიღებთ და გავფრინდებით.

რევაზ ბარაბაძე

მერაბ მამულაშვილი

ამერი

პირველივეში მოუთავეს

"ლიბერეცთან" 1:1-ისა და "კლადნოსთან" 2:0-ის შემდეგ ჩეხურ შეკრებაზე მყოფი საქართველოს თასის ზედიზედ ორგზის მფლობელი თბილისის "ამერი" ჩეხეთის ჩემპიონს გაეჯიბრა და 0:3 დამარცხდა - პრაღის "სპარტამ" ამერელებს პირველივე ტაიმში მოუთავა საქმე - გოლები **პაველ ჰორვატმა** (5), **კაროლ კისელმა** (10) და **იან ჰოლენდამ** (17) გაიტანეს.

სპარტა: **გრიგარი, რჟეპკა, ჰორვატი, სლეპიჩკა, კლადრუბსკი, ჰოლენდა, კისელი, ჰოსპენი, კადლეცი, ჰუშეკი, მატუშოვიჩი.**

მეორე ტაიმში შეიდნენ: **ზლამალი, პეტრჟელა, ზაბაკნიკი, რეზეკი, მარეში, სილვესტრი, ვრშაიევიჩი, ბარო.**

ამერი: **ქვაჩახია, კობაური** (65. **კაკაშვილი**), **ჩიკვილაძე** (85. **მჭედლიშვილი**), **დავითნიძე, დავითაშვილი** (61. **ტატანაშვილი**), **გოცირიძე** (85. **ცხადაძე**), **დეკანოსიძე** (46. **ბოლქვაძე**), **ჯელაძე** (66. **შალამბერიძე**), **დოლიძე** (61. **ტატანაშვილი**), **დობროვოლსკი** (78. **მესხი**), **დიდავა** (62. **ელბაქიძე**).

მატჩი "სპარტას" არენაზე, "ლეტნას" სტადიონზე გაიმართა. "სპარტას" ვებგვერდი იტყობინება, რომ შეხვედრა მათი გუნდის შეტევებით დაიწყო, პირველი გოლი კი პაველ ჰორვატმა 18 მეტრიდან გაიტანო. მომდევნო გოლამდე სპარტელებს კიდევ ორი ხელსაყრელი მომენტი ჰქონიათ. კარლ კისელმა **მიროსლავ სლეპიჩკას** პასით შეაგდო, ხოლო **იან ჰოლენდამ** ჰორვატის გადაცემას თავი შეუშვირა და ზურაბ ქვაჩახიას კარში მესამე გოლი გაიტანა.

ამის შემდეგაც ისევ "სპარტა" უტევდა. ჩეხეთის ჩემპიონმა ოთხჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ და "ამერი" მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა - იუწყება "სპარტას" ვებგვერდი.

49-ე წუთზე "ამერს" კონტრშეტევა გაუხერხებია, **სულიკო დავითაშვილს** შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარე **ზდანეკ ზლამალს** ვერ აჯობა. გოლის გაქვითვის შანსი დავით ბოლქვაძესაც გაუნიავებია - ახლოდან ააცილა "სპარტას" კარს. მას ხელმეორედაც შეეძლო გატანა, მაგრამ ზლამალმა იმარჯვა.

"სპარტას" ვებსაიტი იმასაც იუწყება, მეორე ტაიმშიც ჩვენი გუნდი უტევდა და მონინააღმდეგეზე მეტი სახიფათო მომენტი შექმნაო.

"სპარტას" **ტომაშ რჟეპკა** კაპიტნობდა, გუნდის ყველაზე სახელიანი ფეხბურთელი. ის ახლა 33 წლისაა, კარიერის საუკეთესო წლები კი "ფიორენტინასა" და "ვესტ ჰემში" გაატარა.

დავით თავართქილაძე

დინამო-პაიდუკი 2:3

0:1 რუკავინა (26. პენალტით), 0:2 კალინიჩი (41), 1:2 ჟეფერსონი (50. ფეიქრიშვილის პასით), 1:3 კალინიჩი (77), 2:3 ვუკუე (88).

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო (46. გ. კაშია), თომაშვილი (80. ლობჟანიძე), ხმალაძე, დიღმელაშვილი (46. ოდიკაძე), კობახიძე, ფეიქრიშვილი (75. ვუკუე), ხუციშვილი (55. გონჩაროვი), აკირემი (46. ჟეფერსონი).

პაიდუკი (სასტარტო): ბალიჩი, ბულიაკი, შიმკოვიჩი, პელაიჩი, ანდრიჩი, გაბრიჩი, ჰრგოვიჩი, გალი, ჩრნატი, კალინიჩი, რუკავინა.

გერმანულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **დუშან უჰრინის** გუნდი ხორვატიის ვიცე-ჩემპიონ სპლიტის "ჰაიდუკს დაუპირისპირდა და 2:3 დამარცხდა.

თბილისელებს ამ შეხვედრაში მსუბუქი ტრავმების გამო, **მერებაშვილი** და **სპასოვიჩი** აკლდათ. მათ სერიოზული არაფერი სჭირთ და მალე შეძლებენ თამაშს. ხორვატებმა კი გამორჩეულთაგან **ვერპაკოვსკისი** და **ტუდორი** მოისაკლისეს. დანაკლისზე ვთქვით და იმასაც გამცნობთ, რომ "დინამოში" გუშინ კიდევ ერთმა ახალმა ფეხბურთელმა ითამაშა. 21 წლის ბრაზილიელი ცენტრფორვარდი **ჟეფერსონი** ახლახან შეუერთდა თბილისელებს.

დინამო

ჟეფერსონიც უპრინთანაა

რაც შეეხება თამაშს, "დინამოს" პრესატაშის, **გიგა გვენცაძის** თქმით, პირველმა ტაიმმა საინტერესოდ ჩაიარა. ტერიტორიულ უპირატესობას "დინამო" კი ფლობდა, მაგრამ სწრაფი კონტრშეტევებით ხორვატები უფრო მარჯვობდნენ და ეს პირველი ტაიმის ანგარიშშიც აისახა. გატანა შეეძლოთ **რუკავინასა** და **კობახიძესაც**, მაგრამ მათ არ გაუმართლათ. **ფეიქრიშვილის** დარტყმული კი ხორვატთა მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა.

შესვენების შემდეგ "დინამომ" აჯობა მეტოქეს და მეორე ტაიმი მოუგო კიდეც, მაგრამ საბოლოო შედეგში უპირატესობა არ აისახა. 77-ე წუთზე თომაშვილი დაშავდა, სანამ მას დახმარებას უწევდნენ, კალინიჩმა ანგარიში გაზარდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გიოტინგენში ჩატარებულ ამ მატჩს 2 ათასი ქომაგი დაესწრო. მათ შორის რამდენიმე ათეული ქართველიც, რომლებიც აქტიურად ამხნევებდნენ "დინამოს". მათ **ნედ ზელიჩსა** და **გურამ კაშიას** დაბადების დღე მიულოცეს. პირველი 37 წლისა გახდა, მეორე კი 20-ის.

მორიგ შეხვედრას უჰრინის გუნდი 7 ივლისს რეგიონალლიგურ "ერფურტთან" გამართავს.

დავით ცაბაძე

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. კლუბები

ოლიმპს ქებაძე დაუბრუნდა

გუშინ ზუგდიდში საკონტროლო მატჩში "მგლებმა" რუსთავის "ოლიმპს" უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა. თუმცა, სტუმრებს ორი გოლი არ ჩაუთვალეს - **ჯაბა დვალისა** და კონგოელი თავდამსხმელის, **მასუანგა ბოდრი ჯილდასის** მიერ გატანილი.

მგლები: **დევაძე, ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე, დ. ქირია, კუტალია, ჭოჭუა, კრასოვსკი, წურწუმია, რ. ჯიქია.**

შეცვლაზე ითამაშეს: **ივარდავა, ბაკარანძე, გ. ქირია, ჭედია, გაბედავა, ვართაგავა, ჭკადუა, ლიპარტია.**

ოლიმპი: **მერლანი, მახვილაძე, აკუსაგა, ჭიჭვეიშვილი, ნავალოვსკი, კახელიშვილი, სილაგაძე, ქებაძე, გენაძე, დვალი, დვალიშვილი.**

შეცვლაზე ითამაშეს: **ალავიძე, ორბელაძე, ხუბუა, კოშკაძე, მახარაძე, გიგაური.**

მსაჯი: **ზვ. ერქვანია**

"მგლების" პრესატაშე გელა ნაჭყებიას თქმით, ორი საგოლე შესაძლებლობა ჰქონდა და ვერ იხეირა **გიორგი კრასოვსკიმ**, რომელიც ზუგდიდელებმა აზერბაიჯანიდან ჩამოიყვანეს.

"მგლები" კიდევ ორი შეხვედრის გამართვას აპირებს 10 ივლისამდე, როდესაც ურეკში შეკრებას დაიწყებს. პირველი ხობის "კოლხეთთან" 7 ან 8 ივლისს იგეგმება, მეორე მეტოქე კი მალე გაირკვევა.

რუსთავის "ოლიმპს" თურქეთიდან ცენტრალური ნახევარმცველი **ლაშა ქებაძე** დაუბრუნდა. იგი გუნდს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაეხმარება.

მერაბ მამულაშვილი

იაშვილს გოლს ულოცავენ

ლეგიონერები

იაშვილი: პირველი დუბლი კარლსრუეში

შაშიაშვილმაც მოიგო

ევროპაში ახალი სეზონის დაწყებამდე გუნდები ჩემპიონატებისთვის ემზადებიან. გუშინ ჩვენი ლეგიონერების ერთბაშად რამდენიმე გუნდმა ითამაშა.

ეროვნული ნაკრების ფორვარდმა **ალექსანდრე იაშვილმა** პირველად ითამაშა ბუნდესლიგაში დაბრუნებული "კარლსრუეს" რიგებში. **ედმუნდ ბეკერის** გუნდი ქვედალიგოსან "ზიოლინგენს" გაეჯიბრა და ასწლოვანი გუნდი ასტრონომიული ანგარიშით 21:0 დაამარცხა. ქართველი ფორვარდი კარლსრუელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და დუბლი მიითვალა – იაშვილმა 10 წუთში ორი ბურთი გაიტანა და ანგარიში ათამდე გაზარდა.

"შტურმში" კვლავ 90 წუთი ითამაშა **გიორგი შაშიაშვილმა**. გრაცელები უნგრეთის ჩემპიონ "დებრეცენს" 3:0-ს უგებდნენ. მეორე ნახევარში უნგრელებმა ანგარიში გაათანაბრეს. თუმცა **ფრანკო ფოდას** გუნდმა მეტოქეს შტურმი შესთავაზა და 5:4 მოიგო. ავსტრიის მეორე ბუნდესლიგურ "ლეშტენაუსთან" **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგი" 1:1 დაზავდა. ქართველმა მცველმა მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა.

დავით ცაბაძე

მერანი

გაგუაც ცხინვალში



ვალერი გაგუა

გუშინ, "მერანის" კრების შემდეგ, რამდენიმე საინტერესო სიახლე შევიტყვეთ. გადაწყდა, რომ გამოცდილი ნახევარმცველი **ვალერი გაგუა** კარიერას უმაღლესში ფაქტობრივად დაბრუნებულ "ცხინვალში" გააგრძელებს. მასთან ერთად, ამ გუნდს კიდევ ერთი ყოფილი მერანელი, მეკარე **კახა გლუნჩაძეც** მიაშურებს.

რამდენიმე მოთამაშემ, რომლებიც "მერანში" ისინჯებოდნენ, კლუბთან უკვე გააფორმეს კონტრაქტი. ესენი არიან **ტყეშელაშვილი** და **მგალობლიშვილი** "გაგრიდან", "ნორჩი დინამოს" წევრთაგან კი "მერანში" კარიერას **ლოლაძე, ბოკუჩავა, ქობალია, ლობჟანიძე, ტორონჯაძე** და **ქემუხტაშვილი** გააგრძელებენ.

კიდევ რამდენიმე მოთამაშეს გუნდის მთავარი მწვრთნელი **თამაზ კოსტავა** და მისი ასისტენტები რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდებიან და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ.

შეგახსენებთ, მანამდე "მერანმა" **სევასტოპულო, ნოზაძე** და **ავალიანი** გადაიბირეს. გუნდში მეკარეთა მწვრთნელად იმუშავებს **დავით მამარდაშვილი**, რომელმაც აქტიური კარიერა ახლახან დაასრულა.

"მერანი" უკვე კოჯორშია, მეორე შეკრებას კი დედაქალაქური გუნდი ურეკში გაივლის.

ლევან ჯანეზაშვილი

დუბლები უცხოელთა გარეშე

რუსეთის პროფესიულმა ფეხბურთის ლიგამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. 2008 წლის სეზონიდან ლეგიონერებს დუბლების ჩემპიონატში თამაში ეკრძალებათ. ამას გარდა, ამ ტურნირში მონაწილეობის უფლება აღარც 21 წელზე უფროს რუსებს ექნებათ. პფლ-ის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს ნაბიჯი ადგილობრივი ფეხბურთელების ზრდას შეუწყობს ხელს. როგორც ხედავთ, იმ ქართველთა მდგომარეობა, რომლებიც თავიანთი რუსული კლუბების ძირითადში ვერ მოხვდებიან, კიდევ უფრო დამძიმდება.

ლევან ჯანეზაშვილი

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 55 — ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGACIRIR — ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სახლიდან გაუჭიანურად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკეთ, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



მათე ღვინიანიძე (19)

მათეს მეორე ტაიმი

ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფმა მეორებუნდესლიგურმა "მიუნხენ 1860-მა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. მიუნხენელები კიდევ ერთ ქვედალიგოსანს, "ეტცაინრიხს" ეთამაშნენ და 4:0 მოიგეს. თუ წინა ტესტმატჩში **მათე ღვინიანიძემ** 90 წუთი ითამაშა და გატანილი გოლითაც გამოირჩა, ამჯერად იგი სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა.

ქართველი მცველი მოედანზე 46-ე წუთზე, **შუკალას** ნაცვლად ჩაერთო თამაშში. ღვინიანიძის გამოჩენის შემდეგ, მიუნხენელებმა კიდევ სამი გოლი გაიტანეს, მაგრამ ქართველს გატანილ ბურთებში მონაწილეობა არ მიუღია. მათემ ამ შეხვედრაში ცენტრალურ მარჯვენა მცველად ითამაშა.

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერნანდო ტორესის პრესკონფერენცია

მივდივარ და ვრჩები

ფერნანდო ტორესი, N 9. ელ ნინიო ლივერპულელი ლეგენდების კვალზე



რაფა ბენიტესი და ფერნანდო ტორესი

"ატლეტიკო" ფერნანდო ტორესს ემშვიდობება. "ელ ნინიომ" "ლივერპულთან" 6-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ორშაბათს, მან მილვუდში სამედიცინო შემოწმება გაიარა და მადრიდში დაბრუნდა, რათა გულშემატკივრებისთვის მადლობის სიტყვები ეთქვა და ესპანური მედიისთვის ბოლო პრესკონფერენციაც მოეწყო...
23 წლის ტორესმა "როხიბლანკოში" 12 წელიწადი გაატარა. ის 11 წლის იყო, როცა "ატლეტიკოს" სკოლაში ჩაირიცხა. დებიუტი 17 წლისას ჰქონდა, ხოლო ორი წლის წინათ ამ კლუბის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი გახდა. "ვისენტე კალდერონზე" გატარებული ექვსი სეზონის განმავლობაში, მან 214 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 82 გოლი გაიტანა.
რაც შეეხება მის სანაკრებო მონაგარს. 2001 წელს იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი გახდა. ანალოგიური მიღწევა გაიმეორა 2002 წელსაც, ამჯერად, 19-წლამდელებში. ესპანეთის ეროვნულ გუნდში დებიუტი 2003 წლის სექტემბერში, პორტუგალისთან სპარინგის დროს ჰქონდა. პირველი სანაკრებო გოლი კი 2004 წლის აპრილში, იტალიასთან ამხანაგურ მატჩში გაიტანა. სულ, "სელექსიონში" მან 40 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი მიითვალა. მონაწილეობდა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც 3 ბურთი შეაგდო. ახლა კი პრესკონფერენცია, რომელიც ტორესმა გუშინ "ვისენტე კალდერონზე" გამართა...

- გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა. ვთვლი, რომ ჩემთვის ეს წინგადადგმული ნაბიჯია. სწორად გამიგეთ, "ლივერპულისთვის" უარის თქმა ადვილი არ იყო. მე მგონი, ჩემს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა. "ლივერპული" ევროპისა და საერთოდ, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და დარწმუნებული ვარ, იქ კიდევ უფრო გავიზრდები, როგორც ფეხბურთელი. ეს არჩევანი კარიერის გულისთვის გავაკეთე, თორემ ჩემი გული სამუდამოდ "როხიბლანკოს" ეკუთვნის...

- ამაყი ვარ იმით, რომ დღემდე "ატლეტიკოს" ფეხბურთელი ვიყავი. აქ უამრავი ფანი მყავს და ვიცი, რომ ბევრი "ლივერპულშიც" მიქომაგებს. მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა. ამ წლების განმავლობაში ხალხისგან იმხელა სიყვარული ვიგრძენი, მანამდე ვერც წარმოვიდგენდი...

- ვიცი, რომ იქნებიან ისინიც, ვინც ნაწყენი დარჩება. შეიძლება, ბევრმა ხმაც აღარ გამცეს... იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს "ატლეტიკოში" დავბრუნდები. ალბათ, ეს მაშინ მოხდება, როცა გუნდი იმ სიმაღლეს მიაღწევს, რასაც ისტორიულად იმსახურებს. "ატლეტიკო" ჩემი მეორე ოჯახია. აქ ჩამოვყალიბდი, პირველ რიგში, პიროვნებად და მერე ფეხბურთელად. მადრიდში ბევრ მეგობარს ვტოვებ, და ვტოვებ იმ იმედით, რომ ეს მეგობრობა აქ დამთავრდება...

- კლუბის ინტერესები ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. "ატლეტიკოდან" ფეხბურთელები ყოველთვის მიდიოდნენ და მომავალშიც წავლენ. მთავარია, გუნდმა თავისი სახე არ დაკარგოს. მოვუწოდებ კლუბის ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომ "როხიბლანკოსთვის" თავი არ დაზოგონ, ისევე, როგორც ამას მე ვაკეთებდი. ერთსაც ვიტყვი: აქედან წასვლა ადრეც შემეძლო, მაგრამ ყოველთვის რაღაც მიშლიდა ხელს. ეს "რაღაც" ერთგვარი ვალდებულება იყო... მაგრამ ფეხბურთელი კარიერაზეც უნდა ფიქრობდეს. ამიტომაც ვთვლი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე...

- ვოცნებობ, რომ "ატლეტიკო" დიდი გუნდი გახდეს. ამით ქომაგები დიდი ხნის ოცნებას აისრულებენ. "ატლეტიკო" ევროპაში უნდა დაბრუნდეს. სამწუხაროდ, ჩემთან ერთად გუნდმა ეს ვერ შეძლო, რაც გულში ყოველთვის ხინჯად დამრჩება. ვიცი, რომ დღეს კლუბში არიან ფეხბურთელები, რომელთაც ამ მიზნის მიღწევა შეუძლიათ...

- მოვედი დღეს აქ და ბევრი მოწყენილი სახე დავინახე... გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემს თავსაც ბევრ კითხვას ვუსვამ, დიდხანს ვიფიქრებ იმაზე, რომ ქომაგებს გული დავწყვიტე... "ატლეტიკოდან" უამრავი სასიამოვნო მოგონება გამყვება...

- მაგრამ ჩემთვის დიდად საამაყოა, რომ უკვე "ლივერპულის" ფეხბურთელი ვარ. იქ საოცარი დახვედრა მომიწყვეს. და ამაყი ვიყავი იმითიც, რომ ლივერპულში ჩავედი, როგორც "ატლეტიკოს" ფეხბურთელი. ეს "როხიბლანკოს" პრესტიჟიცაა...

- მადრიდიდან პირნათელი მივდივარ. კლუბი და ფანები არასოდეს მომიტყუებია. დიდი გუნდები ადრეც მიწვევდნენ... "მანჩესტერ იუნაიტედიც" იყო, "რეალიც", სხვებიც... მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ "ატლეტიკოში" ვრჩებოდი. ვამბობდი იმიტომ, რომ ვერ ვხედავდი სერიოზულ დაინტერესებას და ამიტომ, არც ერთ სხვა კლუბთან აქამდე მოლაპარაკება არ გამიმართავს, არც მე და არც ჩემს აგენტს. ერთადერთი, ვისაც ნამდვილად შევატყვე ჩემი აყვანის სურვილი, "ლივერპული" იყო...

- სპორტსმენს ყოველთვის სჭირდება ახალი გამოწვევა, სჭირდება ტიტულები... ძალიან მომეწონა "ლივერპულის" პროექტი. ჩანს, რომ ამ გუნდს სერიოზული მიზნები აქვს და ამ მიზნების მიღწევაც შეუძლია. ეს მაძლევს სერიოზულ შანსს, რომ დიდ გამარჯვებებს მივაღწიო. ამიტომაც ვთხოვე "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობას, მოესმინათ ჩემთვის. ვუთხარი მათ, რომ გადაწყვეტილებას მე მივიღებდი. დავსხედით, ვილაპარაკეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ორივე მხარისთვის ასე აჯობებდა...

- მთავარი ფაქტორი სწორედ "ლივერპულის" პროექტია. ვიცი, რომ იქ მოთხოვნები გაცილებით მეტი იქნება. პასუხისმგებლობას კი არასოდეს გავურბოდი. და ეს პასუხისმგებლობა გაათმაგებულია მაშინ, როცა ახალ კლუბში მიდიხარ. რა თქმა უნდა, სიძნელეებსაც ველოდები, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ადაპტაციის პერიოდი მალე გაივლის...

- დიდი მადლობა უნდა გადავუხადო რაფაელ ბენიტესსაც. ის კარგად იცნობს ესპანურ ლიგას და იცის, ვის რა შეუძლია და ვინ როგორ შეძლებს პრემიერლიგაში თამაშს. ბენიტესი დიდი მწვრთნელია. ამ ნდობისთვის მისი ყოველთვის მადლიერი ვიქნები და ვეცდები, სამაგიერო კარგი თამაშითა და გოლებით გადავუხადო...

- ჩემდამი უდიდეს ნდობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 9-ნომრიანი მაისურა (რომელიც მანამდე რობი ფაულერს ეკუთვნოდა - რედ) გადმომცეს. ამ მაისურით "ლივერპულში" ისტორიული ფეხბურთელები და პიროვნებები თამაშობდნენ, ისინი "ენფილდ როუდის" ლეგენდები იყვნენ... ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა პასუხისმგებლობა მეკისრება. მოუთმენლად ველი ახალი თავგადასავლის დაწყებას...

მოსალოდნელი ტრანსფერი

ვერონი ინტერში ბრუნდება?

იტალიური პრესის ინფორმაციით, არაა გამორიცხული, **ხუან სებასტიან ვერონი** ახალი სეზონიდან კვლავ "ინტერში" ვიხილოთ. ამჟამად, 32 წლის ვეტერანი "კოპა ამერიკაზე" ირჯება და თითქოს ძველებურ ფორმაშიცაა, ყოველ შემთხვევაში, "ალბისელესტეს" მწვრთნელ **ალფიო ბასილეს** მხრიდან მის მიმართ ნდობა ბევრს ნიშნავს. მაშინ, როცა ბაზილეს წინამორბედი **ხოსე ნესტორ პეკერმანი** გუნდის გაახალგაზრდავებაზე წავიდა, არგენტინის ნაკრების დღევანდელი დამრიგებელი ძველ გვარდიასა და მის ამაგს არ ივიწყებს.

ვერონი უკვე თავისუფალი აგენტია. "ჩელსიმ" ის "ესტუდიანტესში" არენდით გაუშვა. არენდის ვადა ამოინურა, ამას გარდა, ლონდონურმა კლუბმა ვერონს კონტრაქტი გაუწყვიტა. წესით, ჯანლონით სავსე უნიჭიერეს ფლეიმეიქერს უსაქმოდ ყოფნა არ უნდა ემუქრებოდეს. "ინტერის" დაინტერესებაზე უკვე ვერონმაც იცის. გუშინ მას "კორიერე დელო სპორტიდან" დაუკავშირდნენ: "ფაქტი, რომ "ინტერს" გავახსენდი, დიდებულ განწყობას მიქმნის. ამ გუნდთან მხოლოდ ლამაზი მოგონებები მაკავშირებს", - ამბობს ფეხბურთელი.

"კორიერე დელო სპორტი" იმასაც გვაუწყებს, რომ ვერონისთვის კონტრაქტის შეთავაზება **რობერტო მანჩინისა** და **მასიმო მორატის** შორის სატელეფონო საუბრისას გადაწყდა. "მანჩომ" დაარწმუნა ბოსი, რომ არგენტინელი "ინტერისთვის" საჭირო კაცია. მორატი დათანხმდა. გამომდინარე იქიდან, რომ **ოლივიე დაკურსა** და **პატრიკ ვიეირას** პერმანენტულად ტრავმები სტანჯავთ, ვერონის დაბრუნება, შეიძლება, პრიორიტეტულ ამოცანადაც იქცეს. რაც მთავარია, ის და მანჩინი მეგობრებიც არიან, ერთად თამაშობდნენ "ლაციოსა" და "სამპდორიაშიც". მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ამგვარი კავშირი ორივე მხარისთვის დამატებითი მოტივაციაა.

"მანჩინისთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს, - დასძენს ვერონი, - მაგრამ მაინც არ ვნანობ, რომ არგენტინაში დავბრუნდი. არჩევანის წინაშე ვიდექი და ვთვლი, რომ სწორადაც მოვიქეცი".

ხუან სებასტიან ვერონი

თავად ფეხბურთელი კი არაფერს ამბობს, მაგრამ იტალიურ პრესაში ისიც დაიწერა, რომ მას გარკვეული ვალდებულები აქვს "ესტუდიანტესის" წინაშე. ესეც არ იყოს, გასათვალისწინებელია მტრული დამოკიდებულებაც ვერონსა და "ინტერის" ზოგიერთ მოთამაშეს შორის, განსაკუთარებით, ეს **ადრიანოს** ეხება. ამიტომ, მანჩინიმ ჯერ "სამზარეულოში" უნდა გაარკვიოს ურთიერთობები...

მიკაელ ლაუდრუპი

გუშინ, **მიკაელ ლაუდრუპი** ესპანეთში ჩავიდა და სეგოვიაში, "ალბუენას" მუნიციპალურ საწვრთნელ ბაზაზე "ხეტაფეს" ხელმძღვანელობას შეხვდა. "ბარსელონისა" და "რეალის" ყოფილ მოთამაშეს მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ

მოსალოდნელი დანიშვნა

ლაუდრუპი ხეტაფეში მივიდა

...მაგრამ ხეტაფეს მწვრთნელი ჯერ ისევ შუსტერია

უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ახალი სეზონიდან "ხეტაფეს" სწორედ ის ჩაუდგება სათავეში. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ ლაუდრუპმა დაათვალიერა საწვრთნელი ბაზა, გაეცნო კლუბის ოფიციალურ პირებსა და ამჟამინდელ სამწვრთნელო შტაბს. მას თან ახლდა "ხეტაფეს" მენეჯერი **ხესუს მანტილია**.

ამის შემდეგ, სტუმარს შეხვედრა ჰქონდა კლუბის პრეზიდენტ **ანხელ ტორესთან**. მოლაპარაკების დეტალები პრესასთან არ გახმაურებულა. "მარკას" ვარაუდით, "დანიური დინამიტის" ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან 2-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება. მაგრამ "ხეტაფეს" პრეზიდენტს ჯერ **ბერნდ შუსტერის** საკითხი აქვს მოსაგვარებელი. ოფიციალურად, გერმანელი მწვრთნელის კონტრაქტი კვლავ ძალაშია. ტორესი "რეალს" საკომპენსაციო თანხის სახით 400 ათას ევროს სთხოვს. მაგრამ ეტყობა, ეს ყველაფერი დროის ამბავია და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ "ხეტაფე" შუსტერს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე შეელევა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

იები ლიუნგბერგისთვის

ფიორენტინა არსენალის შვედ გარემარბს უმიზნებს...

იტალიური მედიის ცნობით, ამ დღეებში "ფიორენტინა" "არსენალის" შვედი გარემარბის, **ფრედრიკ ლიუნგბერგის** თაობაზე ლონდონურ მხარესთან მოლაპარაკებებს გააბამს. მაგრამ არის სხვა ინფორმაციაც, რომელსაც ლიუნგბერგის აგენტი ავრცელებს. **კლას ელეფოკის** თქმით, მისი კლიენტი "ემირითისიდან" წასვლას არ აპირებს: *"უკვე არა ერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ფრედი "არსენალში" მე-10 სეზონსაც გაატარებს. ის, რაც იტალიურ პრესაში დაიწერა, წმინდა წყლის სპეკულაციაა და მეტი არაფერი. ვინ შეიძლება იცოდეს მის მომავალზე იმაზე მეტი, ვიდრე მე ვიცი"?*

ლიუნგბერგის ლონდონური კონტრაქტი 2009 წლის ივნისში იწურება. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, შვედის ტრანსფერისთვის "ფიორეს" პრეზიდენტ **ანდრეა დელა ვალეს** 5 მილიონი გირვანქა აქვს გამზადებული. ამასწინათ, დელა ვალემ პირობა დადო, რომ **ჩეზარე პრანდელის** საჩუქრად რომელიმე დიდ მოთამაშეს ჩამოუყვანს. გულისხმობდა თუ არა ის ლიუნგბერგს? ღმერთმა უწყის...

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელსაც "გაძეტა დელო სპორტი" ფლორენციელებთან მიმართებაში ავრცელებს, ასეთი გახლავთ: "იები", თურმე, "აიაქსის" ნახევარმცველ **უესლი სნაიდერითაც** ყოფილან დაინტერესებულნი და მზად არიან, ამ ტრანსფერში 9 მილიონი გირვანქაც გაიღონ.

რონალდოსა და ფერგის ახალი ნიძლავი

კრისტიანო რონალდომ სერ ალექს ფერგუსონს კიდევ ერთი ნიძლავი შესთავაზა. თუ ახალ სეზონში პორტუგალიელი გარემარბი 20-ზე მეტ გოლს ვერ გაიტანს, თავს გადაიპარსავს, მაგრამ თუ გაიტანს, ფანტომასს მისი დამრიგებელი უნდა დაემგვანოს. გასულ სეზონში კრისტიანომ ფერგის 400 გირვანქა მოუგო. ფეხბურთელმა პრემიერლიგაში 17 გოლი გაიტანა, ორით მეტი, ვიდრე მწვრთნელისთვის ჰქონდა ალთქმული. აქვე **რაიან გიგზის** მცირე კომენტარი: 33 წლის ვეტერანი ალიარებს, რომ "მენიუში" კონკურენციამ საგრძნობლად მოიმატა, მაგრამ ის პენსიაში გასვლას მაინც არ აპირებს.

რეკრეატივო მუნიოსს ჩააბარეს

"პანათინაიკოსის" ყოფილი თავკაცი **ვიქტორ მუნიოსი** ესპანეთში ბრუნდება. ის "რეკრეატივოს" ჩაიბარებს. ფრანგული სააგენტოების მტკიცებით, ამ კლუბში საფრანგეთის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **უაკ სანტინი** უნდა დანიშნულიყო, მაგრამ მათი ინფორმაცია არ დადასტურდა. 50 წლის მუნიოსი იმ **მარსელინიოს** შეცვლის, რომელმაც სანტანდერის "რასინგს" მიაშურა. მარსელინიოს მეცადინეობით, "რეკრეატივომ" პრიმერა დივიზიონი მერვე ადგილზე დაასრულა. მუნიოსს სხვადასხვა დროს "ვილიარეალსა" და "სარაგოსაში" უმუშავია და 2004 წელს არაგონიულ კლუბთან ერთად ესპანეთის თასიც მოიპოვა.

ჰამითი: სლომკას ხელში შალკე დაიღუპება

ᲛᲣᲠᲫᲔᲗᲘᲡ ნაკრების „ბაიერნში" გადასული ნახევარმცველი **ჰამით ალთინთოფი** ამბობს, რომ მისი ყოფილი გუნდის, „შალკეს" გაჩემპიონების შანსი მინიმალურია. „არა მგონია, რომ „შალკემ" „ვერცხლის სიხის" მოგება მოახერხოს მანამდე, სანამ ამ გუნდს მირკო სლომკა წვრთნის. ეს გუნდი ძალიან მიყვარს, „შალკეს" *"ჩემს გულში დიდი ადგილი უკავია და ამ სიყვარულის სიძულვილით შეცვლა, ვერც სლომკას ბედოვლათობამ მოახერხა. სამაგიეროდ, ოტმარ ჰიტცფელდისგან პირველივე წუთებში ვიგრძენი, თუ როგორ დიდ ადამიანთან და გრანდიოზულ მწვრთნელთან მაქვს საქმე"*, - განაცხადა ალთინთოფმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანკ რიბერისთან

მიუნხენში სულ სხვა სამყარო დამხვდა

ფეხბურთელი, რომელიც ყოველთვის მოტივირებულია...

ესის კაცია, რომელიც მიუნხენის „ბაიერნს“ ალბათ მაინც ყველაზე მეტად აკლდა. მიუხედავად იმისა, რომ რიბერის მიუნხენური კლუბის მაისურით ჯერ არცერთი თამაში არ ჩაუტარებია, ერთი რამ უკვე ნათელია: 24 წლის ფრანგი ნახევარმცველი უდავოდ გუნდის ერთ-ერთი (თუ უმთავრესი არა) ლიდერი გახდება. ული ჰიონესმა მის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაიხადა და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ფრანკი ძალიან მალე დაამტკიცებს, რომ გაცილებით ძვირად ფასობს. ოტმარ ჰიტცფელდის თქმით, ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც მოტივირება არ სჭირდება, რადგან თუ რიბერი ფეხბურთს თამაშობს, ყოველთვის გულანთებული და შემართულია. მეტიც, ფრანგი გარემარბი თურმე მოედანს მიღმაც ასეთი ყოფილა.
გუშინწინ რიბერიმ „ბაიერნში“ პირველად ივარჯიშა, რის შემდეგაც მას ჩვენი გერმანელი კოლეგები გაესაუბრნენ.

- ჰერ რიბერი, ეს თქვენი პირველი დღეა ახალ სამსახურში. რა იყო დღეს თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

- ყველაზე მთავარი ის გახლდათ, რომ ახალი თანაგუნდელებისგან უდიდესი სითბო ვიგრძენი. რამდენიმე მათგანთან საუბარი უკვე მოვასწარი, დიდხანს ვესაუბრე მწვრთნელსაც. ჩემთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ გუნდში დადებითი, მეგობრული ატმოსფეროა. ეს ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს. ფაქტია, რომ ფეხბურთელებს შორის კონკურენცია უდიდესი იქნება და ამ დროს პოზიტიური განწყობა და მეგობრული ატმოსფერო ძალიან მნიშვნელოვანია.

- ბუნდესლიგაზე ახლა უფრო მეტი იცით? და საერთოდ, როგორ შეაფასებთ გერმანიის პირველობას?

- ერთი ხანობა ბუნდესლიგამ მაყურებელი დაკარგა, რადგან დონემ დაიწია. მაგრამ გერმანიის პირველობა მაყურებელსაც ნელ-ნელა იბრუნებს და დონესაც. პირადად მე ბოლო ორ სეზონში გერმანიის ჩემპიონატის მატჩებს თვალს ინტენსიურად ვადევნებდი. ერთი სიტყვით, მდგომარეობა ისევ გამოსწორების გზას დაადგა და ის 3-4 წლიანი ჩავარდნაც წარსულს ბარდება. აქ შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობენ, გუნდებმაც შესამჩნევად მოუმატეს. ეს ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა. „ბაიერნი“ კი გერმანიის საუკეთესო გუნდია – აქ ამიტომაც ჩამოვედი.

- აქ თქვენი თანამემამულე ვილი სანიოლი თამაშობს და როგორც ცნობილია, „ბაიერნის“ სასარგებლოდ რომ მიიღეთ გადაწყვეტილება, ამაში უმთავრესი როლი სწორედ ვილიმ ითამაშა...

- ვერ ვიტყვი, რომ აქ მხოლოდ სანიოლის გამო გადმოვედი, მაგრამ ფაქტია, რომ ვილი ძალიან დამეხმარა. ყველაფერი დაწვრილებით მიამბო და დამარწმუნა, რომ სწორი ნაბიჯის გადადგმას ვაპირებდი. მან ამიხსნა, თუ როგორ ადამიანებთან მექნებოდა საქმე, რას წარმოადგენდა ის ხალხი, ვინც „ბაიერნში“ თამაშობდა, მიხსნიდა, თუ როგორი სტრუქტურებია გუნდში და ა.შ. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც გავაჭიანურე, რადგან მინდოდა, რომ ყველაფერი კარგად ამეწონ-დამეწონა. რაც არ უნდა იყოს, კარიერის უმნიშვნელოვანეს კონტრაქტს ვაფორმებდი და ფაქტია, რომ კარგად უნდა დავფიქრებულიყავი. თანაც, არაერთი შემოთავაზება მქონდა. დღეს კი ძალიან მიხარია, რომ გადაწყვეტილება „ბაიერნის“ სასარგებლოდ მივიღე. ვილიმ მითხრა, „ბაიერნზე“ სერიოზულ კლუბს, ამ სიტყვის ყველა გაგებით, ვერსად ნახავ და თუ გინდა, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშო და ნამდვილი პროფესიონალი გახდე, მაშინ აქ უნდა მოხვიდეო. მითხრა, „ბაიერნში“ ხალხი ერთმანეთს ძალიან სამართლიანად ექცევა, აქ არც ქვეშ-ქვეშობას აქვს ადგილი და არც ჩაგვრასო. ჩემთვის ყველაზე მთავარი კი სწორედ ეს ფაქტორებია, რადგან ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ. ამას გარდა, გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემმა ოჯახმაც – მთავარია, რომ ჩემი მეუღლე და ქალიშვილი მიუნხენში თავს შესანიშნავად იგრძნობენ. სწორედ ამიტომ, ვილის ყველა რჩევისთვის უდიდეს მადლობას ვუხდი.

- პირველ ვარჯიშზე რომ მოდიოდით, რა გრძნობა დაგეუფლათ? ხომ არ ნერვიულობდით?

- არა, ნერვიულობით არა, მაგრამ ოდნავ აღელვებული კი ვიყავი. მაგრამ ეს აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა, რაც ყველა ახალნეულს ემართება ხოლმე, როცა პირველ ვარჯიშზე მიდის. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება – ყველას ასე ემართება. თავად განსაჯეთ - ჩემთვის დღეს ყველაფერი ახალი იყო, აბსოლუტურად ყველაფერი. თანაგუნდელებს არ ვიცნობდი, არ ვიცოდი, როგორი იქნებოდა ვარჯიში – ფაქტობრივად, არაფერი ვიცოდი. მართალია, საკმაოდ გამოცდილი ვარ და ვიცი, როგორია სტანდარტები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუნხენში მაინც სულ სხვა სამყარო დამხვდა, რომელსაც მალე უნდა მოვერგო.

- როგორ ფიქრობთ, ადაპტაციისთვის დიდი დრო დაგჭირდებათ?

- არ მგონია.

- როდის მოგვცემთ პირველ ინტერვიუს გერმანულ ენაზე?

- ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გერმანული რაც შეიძლება სწრაფად ავითვისო. ეს ჩემთვის, ისევე, როგორც გუნდისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. ცოტა ხნის წინათ ერთმა გულშემატკივარმა პატარა წიგნი შემომაჩეჩა, რომელშიც მთავარი სიტყვები და გამოთქმებია. დღეს საღამოსვე გადავხედავ. ხვალ გერმანული ენის მასწავლებელი პირველად მესტუმრება და მომზადებული უნდა შევხვდე (იცინის).

- მაინც როდის იხილავს „ბაიერნის“ გულშემატკივარი ნამდვილ რიბერის, იმ რიბერის, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ფურორი მოახდინა?

- იმედი მაქვს, ძალიან მალე. ყველაფერი ძალიან მარტივია: მთავარია, ყველა შეხვედრაში და ყველა ვარჯიშზე ბოლომდე დაიხარჯო. მე კი, თავის დაზოგვა არ მჩვევია.

- „ბაიერნს“ არა მხოლოდ დიდი დრიბლიორი, არამედ დიდი პერსონაც სჭირდებოდა. თქვენ უფრო რომელი ხართ?

ფრანკ რიბერი

- ვფიქრობ, ჩემი უმთავრესი პლუსი ის არის, რომ მოგების წარმოუდგენლად დიდი სურვილი მამოძრავებს ხოლმე და ამიტომ, ჩემთვის თითოეული თამაში ომია, რომელშიც ან უნდა გაიმარჯვო, ან მოკვდე. თავი არასდროს დამიზოგავს - ჩემი მაისურა ყოველთვის სველია ოფლით. მე ყველა მატჩში, პირველიდან ბოლო წუთამდე ბალახს მოვძოვ! მართალია, იმდენი მოვახერხე, რომ სახელოვანი ფეხბურთელი გავხდი, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში იყო ძალიან მძიმე, უმძიმესი პერიოდიც. მომავალში მინდა, რომ უფრო მსუბუქად ვიცხოვრო, რეალობასთან ყოველთვის ახლოს ვიყო და ჩემი შესაძლებლობები მოედანზე ვამტკიცო!

გოტფრიდ ლენცი

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი. III ტური

ვენესუელა პირველად...

COPA AMERICA VENEZUELA 2007

A ჯგუფი

პერუ-ბოლივია 2:2

პერუ: ბუტრონი, გალიკიო (56. ერერა), ალბერტო როდრიგესი, ვილჩესი, ვილიამარინი, დე ლა ასა, ისმოდესი (70. ხიმენესი), მარინიო, ფარფანი (46. სუნიგა), გერერო, პისარო.

ბოლივია: უგო სუარესი, ალვარესი, ოიოსი, მონტანიო, რალდესი, კამპოსი (67. გალინდო), მოხიკა (80. ორტისი), რეიესი, ვასა, ანდავერისი (57. არსე), მორენო.

გოლები: 0:1 მორენო (25), 1:1 პისარო (34), 1:2 კამპოსი (45), 2:2 პისარო (85).

გაძევება: ერერა (77. პერუ)

გაფრთხილება: 6-3; **დარტყმა**: 5(5)-5(1); **ჯარიმა**: 14-13; **კუთხური**: 6-12.

ვენესუელა-ურუგვაი 0:0

ვენესუელა: ვეგა, სიჩერო, ექტორ გონსალესი, რეი, არანგო, სესარ გონსალესი, მეა ვიტალი (76. პ.ფერნანდესი), ედერ პერესი, ვერა, დე ორნელიასი (66. გუერა), მალდონადო (57. ტორეალბა).

ურუგვაი: კარინი, ფუჩილე, ლუგანო, დარიო როდრიგესი, პაბლო გარსია, პერეირა, დიეგო პერესი, კრისტიან როდრიგესი, სოტი, ფორლანი (79. აბრეუ), ვისენტე სანჩესი (68. რეკობა).

გაფრთხილება: 2-2; **დარტყმა**: 7(4)-1(0); **ჯარიმა**: 10-10; **კუთხური**: 2-6.

"ჩელსის" ახალწვეულმა **კლაუდიო პისარომ** პერუელები წაგებისაგან იხსნა. ბოლივია ორჯერ ამარცხებდა მეტოქეს და სამი ქულის აღების შემთხვევაში, ფლეი ოფის საგზურზე განაცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ "ბაიერნის" ყოფილ ვარსკვლავთან ვერაფერს გახდა. მერიდის "ესტადიო მეტროპოლიტანოზე" 40 ათასი მაყურებელი მივიდა. **ხაიმე მორენომ** ანგარიში 25 წუთზე გახსნა. "ვაშინგტონ იუნაიტედის" თავდამსხმელმა პერუელ მეკარე **ლეაო ბუტრონს** ბურთი თავზე გადაუგდო. მან საჯარიმოს გარედან დაარტყა.

უპირატესობამ ათ წუთს გასტანა. პერუმ ჯარიმის უფლება მოიპოვა. **ხუან კარლოს მარინიომ** ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა. პისარომ ყველას დაასწრო და ძლიერი თავურით წონასწორობა აღადგინა. ტაიმის ბოლო წუთზე **კამპოსმა ხოსელიტო ვასას** პასით ისარგებლა და ბუტრონს შანსი არ დაუტოვა. ბოლივიელებს ნანატრი გამარჯვებისაგან ხუთი წუთი აშორებდათ, როცა მათ კარში მორიგი საჯარიმო დაინიშნა. ბურთთან ისევ მარინიო მივიდა, მის ჩაწოდებულს ისევ პისარო გამოეხმაურა და პირველის ანალოგიური გოლი გაიტანა. პერუ ფლეი ოფშია...

ვენესუელამ და ურუგვაიმ კი, ამასობაში, ტურნირის პირველი უგოლო მატჩი ჩაატარეს. მშვიდობიანმა ანგარიშმა ორივე გუნდი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა. ვენესუელის ეროვნულმა გუნდმა კოპა ამერიკის ფლეი ოფის საგზური პირველად მოიპოვა. მეტოქეებმა იცოდნენ, რომ თითო ქულა ორივეს აძლევდა ხელს. ამიტომ განსაკუთრებული ენერგია არ დაუხარჯავთ. იმ საღამოს მერიდის სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა ტურნირის ყველაზე უსახური შეხვედრა იხილა. მასპინძლებმა ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდეს. ბურთების უკეთესი ბალანსის გამო მეორე საფეხური პერუელებს ერგოთ. ურუგვაის მესამე საფეხური დარჩა, თუმცა ის ორიდან ერთი საუკეთესო მესამე ადგილოსანია. ამიტომ მეოთხედფინალში ისიც ითამაშებს. ვენესუელა თავის მატჩს შაბათს სან კრისტობალში გამართავს. ამ ქალაქში მას ყველაზე ერთგული ქომაგები ჰყავს.

	მ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ვენესუელა	3	1	2	0	4-2	5
2. პერუ	3	1	1	1	5-4	4
3. ურუგვაი	3	1	1	1	1-3	4
4. ბოლივია	3	0	2	1	4-5	2

პერუმ ეკვადორს გზა გადაულობა

არსენალი

ვენგერს არ ეჩქარება

და სილვა არ კმარა, მეთოფეებს კიდევ ერთი ფორვარდი სჭირდებათ

"არსენალი" **არსენ ვენგერთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას ჩქარობს. მწვრთნელს ოთხწლიან ხელშეკრულებას და კვირაში 75 ათას გირვანქას სთავაზობენ. "მეთოფეებს" სურთ, წერტილი დაუსვან სპეკულაციების ვენგერის მოსალოდნელი აბარგების შესახებ. შვებულებაში ყოფნისას მოსიე არსენი მუდმივად ურთიერთობდა ადმინისტრაციასთან. ისინი ტრანსფერებსა და მზადების დეტალებზე მსჯელობდნენ. მაგრამ როცა ახალ კონტრაქტზე ეკითხებიან, ვენგერი პასუხს თავს არიდებს. 58 წლის სპეციალისტს დღევანდელ ხელშეკრულებაში ერთი წელი აქვს დარჩენილი. მას კვირაში 50 ათას გირვანქას უხდიან.

ხორვატიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, **ედუარდო და სილვას** შემდეგ, "მეთოფეებს" კიდევ ერთი თავდამსხმელის შეძენა სურთ. ისინი ნიუკასლელ **ობა მარტინსს** აკვირდებიან. გასულ უქმეებზე "არსენალისა" და "ნიუკასლის" ემისრებმა პირველი შეხვედრა გამართეს. კონტრაქტის თანახმად, მარტინსს შეუძლია, წავიდეს, თუ მასში 13 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. იტალიური სააგენტოების მტკიცებით, დაინტერესებულია "იუვენტუსიც". "იუვეს" 10 მილიონზე მეტის გაღება არ სურს. "არსენალის" მიერ შეთავაზებული თანხის რაოდენობა უცნობია.

ამასობაში, და სილვას ტრანსფერს ხორვატული ფეხბურთის ლეგენდა, ექსარსენალელი **დავორ შუკერი** გამოეხმაურა. მან ფორვარდს პრემიერლიგაში დიდი წარმატება უწინასწარმეტყველა: *"რა თქმა უნდა, ედუარდო ტიერი ანრი არ არის, მაგრამ ის ბევრ გოლს გაიტანს. არც ის დაგავიწყდეთ, რომ სადებიუტო სეზონი ტიერისაც კი საკმაოდ უფერული გამოუვიდა. და სილვა შესანიშნავი შენაძენია."*

სესკ ფაბრეგასი კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, თითქოს ლონდონიდან აბარგებას აპირებდეს. 20 წლის ფეხბურთელს არაერთხელ უთქვამს, რომ ანრის წასვლის შემთხვევაში, თვითონაც ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვდა, მაგრამ დღეს ის რადიკალურად განსხვავებულ განცხადებას აკეთებს: *"10 დღეში "არსენალში" დავბრუნდები. ის ჩემი გუნდია. მე ლონდონში ვრჩები."*



არსენ ვენგერი

და ბოლოს, გუშინ "არსენალის" ოფიციალურ ვებგვერდზე შესულმა გულშემატკივარმა უცნაური სურათი იხილა: გუნდის შარშანდელი სტატისტიკური მონაცემებიდან ამოშლილი იყო **ტიერი ანრი**. მან პრემიერლიგაში 27 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი შეაგდო. ფორვარდის ბარსელონური ტრანსფერიდან ერთი კვირის თავზე ვიღაცამ მისი ლონდონური კვალის წაშლა გადაწყვიტა. "არსენალის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა უმალ განმარტება გააკეთა. მისი თქმით, ანრის სახელის გაქრობა ტექნიკური პრობლემების ბრალია. ამ პრობლემებს ადმინისტრატორები უმოკლეს დროში მოაგვარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

ბარსა ლემპარდში 12 მილიონს იხდის

მოლაპარაკებები დღეს უნდა დაიწყოს, აქვს თუ არა მოურინიოს სატრანსფერო ფული?

"ბარსელონა" **ფრენკ ლემპარდში** 12 მილიონ გირვანქას გადაიხდის. კატალონიელები მოლაპარაკებების დაწყებას დღეს აპირებენ. ამ ინფორმაციას "სანი" ავრცელებს. იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ "არისტოკრატები" "ბარსას" უარით გაისტუმრებენ. შემდეგ კი ლემპარდთან კონსულტაციების განახლებასა და ახალი კონტრაქტის გაფორმებას შეეცდებიან. "ჩელსი" ვარჯიშს ორშაბათს განაახლებს. დირექტორებს სურთ, უთანხმოება კვირის ბოლომდე მოაგვარონ. "ბარსელონა" უკან დახევას არ აპირებს. კლუბის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ 28 წლის ნახევარმცველის შეძენა რთული იქნება, მაგრამ **ფრანკ რიიკაარდს** ლემპარდი სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დირექტორებმა მისი ტრანსფერისთვის ყველაფერი უნდა იღონონ. ესპანეთში ახალი სეზონის დაწყებამდე საკმარისზე მეტი დროა. საგანგებო განცხადება გააკეთა ლემპარდის აგენტმა **სტივ კუტნერმა**: *"ფრენკი "ჩელსიში" დაბრუნდება და ვარჯიშს ჩვეული მონდომებით განაახლებს. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. სანამ ფრენკი შვებულებაშია, ვერაფერი გაირკვევა."*

ფრენკ ლემპარდი

სხვა ამბები ლონდონელთა ბანაკიდან. ორი დღის წინათ "ნიუკასლს" მიაშურა **ჯერემიმ**. ახალი სეზონის დაწყებამდე კლუბი, შეიძლება, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს გამოეთხოვოს, მაგრამ ვის შეიძენენ მათ შემცვლელად? აქამდე განხორციელებული სამი ტრანსფერიდან "ჩელსის" ერთი ცენტიც კი არ დაუხარჯავს. **სტივ სიდველი, ტალ ბენ ჰაიმი** და **კლაუდიო პისარო** თავისუფალი აგენტები იყვნენ. მიმომხილველები ამბობენ, რომ **რომან აბრამოვიჩი** ფეხბურთელებში ფულის დახარჯვას აღარ აპირებს. **ჟოზე მოურინიოსაც** ისღა დარჩენია, უფასო მოთამაშეებით გავიდეს ფონს. მაგრამ მწვრთნელი ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, დირექტორებს არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, რომ სატრანსფერო ბიუჯეტი ნულის ტოლია: *"არასწორია, როცა გუნდს მხოლოდ თავისუფალი აგენტებით აძლიერებ. ამ პრაქტიკას მხოლოდ ერთი გამართლება აქვს. როგორც კი ფეხბურთელს კონტრაქტს გაუფორმებ, მას ფასი ედება."*

მოურინიო "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველის **ფლორან მალუდას** შეძენას ცდილობს. 27 წლის ფეხბურთელი 17 მილიონი გირვანქა ღირს. ამ ტრანსფერისას გამოჩნდება, მისცემენ თუ არა მოურინიოს ფულს. ფეხბურთელს ლონდონში გადასვლა სურს. მან საფრანგეთის ჩემპიონებს უკვე აცნობა ამის შესახებ. ლიონელთა პრეზიდენტი **ჟან მიშელ ოლა** კი ეჭვობს, რომ გარიგება არასოდეს შედგება: *"ფლოს დავურეკე და გულწრფელად ვუთხარი, არა მგონია, ამხელა ფული გადაიხადონ, ჯობია, ვარჯიში ჩვენთან განაახლო-მეთქი. იქამდე "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორ პიტერ კენიონსაც ველაპარაკე. მან მითხრა, რომ მოსკოვში აპირებდა გამგზავრებას, რათა აბრამოვიჩს შეხვედროდა."* მალუდას "ლივერპულიც" აკვირდებოდა, მაგრამ მერსისაიდელებმა ეს-ესაა, **ფერნანდო ტორესი** შეიძინეს და სულის მოთქმა სჭირდებათ. "ლიონმა" ახალი სეზონისთვის მზადება ორშაბათს დაიწყო. მალუდა გუნდის ბაზაზე არ გამოჩენილა და ჯერჯერობით, არც რაიმე სახის კომენტარი გაუკეთებია.

ფრინგსი: კლოზეს მთელი სტადიონი დაუსტვენს

„ვერდერის" ნახევარმცველმა **ტორსტენ ფრინგსმა** „ბაიერნში" გადასული **მიროსლავ კლოზე** კიდევ ერთხელ გააკრიტიკა. *„როცა „ბაიერს" ვუმასპინძლებთ, ცხადია, რომ კლოზეს მთელი „ვე ზერშტადიონი" სტვენას აუტეხავს. ჩვენი ფანები მას მთელი 90 წუთის განმავლობაში უხამსი სიტყვებით შეამკობენ და არც გაემტყუნებათ! მირომ მათ თავი ძალიან შეაყვარა, მერე კი ყველაფერი გააფუჭა. არა იმით, რომ "ბაიერნში" გადავიდა, არამედ იმით, როგორც იქცეოდა,"* – განუცხადა ფრინგსმა „ბილდს".

მაკმანამანი ბირმინგემის დირექტორატში

"ლივერპულისა" და "რეალის" ყოფილი ვარსკვლავი **სტივ მაკმანამანი** ფეხბურთში ბრუნდება. ის იმ კომპანიის დირექტორატში დანიშნეს, რომელიც "ბირმინგემ სიტის" აქციათა უმსხვილეს პაკეტს ყიდულობს. ეს კომპანიაა "გრანდტოპ ინტერნეშენალი". ის ტანსაცმელს აწარმოებს. უახლოეს დღეებში "გრანდტოპი" 14.9 მილიონ გირვანქად ბირმინგემელთა 29.9-პროცენტიან წილს შეიძენს. ამ კომპანიის უკან ჰონკონგური ინვესტიცია დგას. ჰონკონგელ ბიზნესმენებს ლონდონური "რედინგის" შეძენა სურდათ, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი "ბირმინგემზე" შეაჩერეს.

ტოტენჰემი ნახევარმცველს ეძებს

გაზეთ "ასის" ცნობით, "ტოტენჰემი" "სელტის" ნახევარმცველებს, **ბორხა ოუბინიასა** და **ნენეს** ეპატიჟება. უობინია 3.5 მილიონ გირვანქა ღირს. ნენეს ტრანსფერი კი იმიტომაა ნაკლებად სავარაუდო, რომ მას ევროპული პასპორტი არ აქვს. "მამლებმა", შეიძლება, "ჰერტისა" და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ **კევინ პრინს-ბოატენგზეც** იფიქრონ. ისიც დაახლოებით 3.5 მილიონი ღირს.

მავუბა ვილიარეალში ჩაირიცხა

"ვილიარეალმა" საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი **რიო მავუბა** შეიძინა. 23 წლის ფეხბურთელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას "ლურჯების" შემადგენლობაში ექვსჯერ აქვს ნათამაშევი. მავუბას მამა **რიკი** ზაირის ნაკრების ფეხბურთელი იყო და 1974 წლის მუნდიალზე ასპარეზობდა. რიო ქვეყნიერებას 1984 წელს, შუა ზღვაში მოევლინა. მისი ოჯახი სამოქალაქო ომს გაექცა. რიკი მავუბას მეუღლემ კი ლტოლვილებით სავსე ნავში იმშობიარა.

ქარიმიმ კატარს მიაშურა

ირანელმა თავდამსხმელმა **ალი ქარიმიმ** კატარის "სპორტს ქლაბს" მიაშურა. მას "ბაიერნთან" კონტრაქტი ამოეწურა. ამიტომ კატარს თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურა. კონტრაქტის თანახმად, ქარიმი წლიურად 2.5 მილიონ დოლარს მიიღებს. ალიმ სახელი ბუნდესლიგაში თამაშისას გაითქვა. მისი კარიერის მწვერვალი, რა თქმა უნდა, რეკორდმაისტერში გატარებული ორი სეზონი იყო - 33 მატჩი, 3 გოლი.

ინტერვიუ ფაბიო გროსოსთან

არ მახსოვს, როგორ გავიფანე...

ერთი წლის წინათ ამ ბიჭმა გერმანია აატირა...

ერთი წლის წინათ ფაბიო გროსომ ჭკუიდან შეშლილი, გადარეული გერმანია დააშოშმინა. მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, დამატებითი დროის ბოლოსწინა წუთზე გატანილი ულამაზესი გოლით, იტალიელმა მცველმა მუნდიალის მასპინძელ ქვეყანას ისარი პირდაპირ გულში ჩაასო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: სწორედ ამ, ბევრისთვის აბსოლუტურად უცნობ ფეხბურთელს, თანაც მარცხენა მცველს ხვდა წილად პატივი, „აძურის" ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი ყოფილიყო. მერვედფინალში, ავსტრალიასთან, ფრანჩესკო ტოტის მიერ გატანილი პენალტი სწორედ გროსომ წამოიკიდა, ნახევარფინალში გერმანიას ეს გოლი გაუტანა და გუნდი ფინალში გაიყვანა. იქ კი, საფრანგეთთან, მარჩელო ლიპიმ მას გადამწყვეტი, ბოლო თერთმეტმეტრიანის შესრულება დაავალა და გროსომ ამ ამოცანასაც შესანიშნავად გაართვა თავი. შესაბამისად, ფაბიოს გადარეული სახე, როგორც გერმანიის კარში გატანილი გოლის, ასევე საფრანგეთთან შესრულებული ბოლო პენალტის შემდეგ, ისტორიას სამუდამოდ შემორჩება. ზუსტად ისე, როგორც მარკო ტარდელის გადარეული სახე შემორჩა, 1982 წლის მუნდიალის ფინალიდან. გროსოს გუშინ „ბილდის" კორესპონდენტი შეეხმიანა და ის გოლი გაახსენა...

- ფაბიო გროსო, იცით თუ არა, რამდენი მილიონი ადამიანი გადაიმტერეთ იმ გოლის გამო?

- (იცინის) სამაგიეროდ, ისიც ვიცი, რომ მილიონობით ადამიანი გავახარე და რაც მთავარია, ჩემი სამშობლო. ალბათ გერმანელებისთვის საძულველი ფეხბურთელი ვარ, ამაში არაფერია გასაკვირი.

- იმ გოლს ხშირად გახსენებენ ხოლმე?

- დიახ. იმაზე გაცილებით ხშირად, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ეს ხომ ჩემი კარიერის ულამაზესი და უმნიშვნელოვანესი გოლი იყო. იცით, აღარ მახსოვს, როგორ გავიტანე. ვცდილობ, ის წამი გავიხსენო, მაგრამ არაფერი გამომდის. არ ვიცი, როგორ მოხდა. ფაქტია, რომ მარჩელო ლიპიმ ფინალში უფრო მნიშვნელოვანი დარტყმის შესრულება დამავალა, მაგრამ საფრანგეთთან დარტყმული პენალტი, რომელმაც ჩემპიონობა მოგვიტანა, ძალიან კარგად მახსოვს, ზედმინევნით ზუსტად. აი, გერმანიასთან, 119-ე წუთზე, როგორ დავარტყი და როგორ გავიტანე, აღარ ვიცი. ვიხსენებ მხოლოდ ნაბიჯებს, ბურთისკენ რომ გავიწიე, ხოლო ის, რაც მერე მოხდა, ჩემი მეხსიერებიდან ამოშლილია. შემდეგი სცენა უკვე ისაა, რომ თანაგუნდელების ქვეშ ვარ მოქცეული და ვღრიალებ. ჩემი პირველი სიტყვები იყო: „არ მჯერა!" მხოლოდ გვიან, გასახდელში შესვლის შემდეგღა გავაანალიზე, რაც გავაკეთე.

- მსოფლიოს ჩემპიონატიდან კიდევ რას იხსენებთ ხოლმე?

- ჩემს წარსულს რომ გადავხედო, მუნდიალზე უკეთესს ვერაფერს გავიხსენებ. თავიდან იმის იმედიც კი არ მქონდა, რომ ლიპი ძირითად შემადგენლობაში მათამაშებდა. არადა, საბოლოო ჯამში, ერთ-ერთი გმირი გავხდი. სხვათა შორის, მოგვიანებით ლიპიმ მითხრა, საფრანგეთთან ბოლო პენალტი შენ სწორედ გერმანიასთან გატანილი იმ გოლის გამო დაგარტყმევინე, ვიგრძენი, რომ ეს შენ უნდა გაგეკეთებინაო. არადა, როცა მითხრა, ბოლო პენალტს შენ დაარტყამო, გავოგნდი და ვკითხე: „დარწმუნებული ხართ?" მხარზე ხელი დამარტყა, 100 პროცენტითო.

- ლუკა ტონი „ბაიერნში" გადავიდა. თქვენ ითამაშებდით ბუნდესლიგაში?

- რატომაც არა? წინასწარ არავინ იცის, რა ელის მომავალში. გამორიცხული სულაც არაა, რომ გერმანიაში ვითამაშო, ბუნდესლიგას კარგი გუნდები ჰყავს. ერთი ეგაა, არ ვიცი, რამდენად უსაფრთხოდ ვიქნები იმ გოლის გამო (იცინის).

- მუნდიალის დროს თქვენი მშობლები ჰამბურგში ცხოვრობდნენ და მუდმივად სანდრო კონვერტინოს ცნობილ ბარ „ლა ბრუშეტას" სტუმრობდნენ. იქ თქვენც ხართ ნამყოფი?

- არა. სამწუხაროდ, ამისთვის დრო არ მქონია. როცა ჰამბურგში ვიქნები, იმ ბარს აუცილებლად ვესტუმრები.

გოტფრიდ ლენცი

ფაბიო გროსოს დაუვიწყარი გოლი შარშანდელი მუნდიალის ნახევარფინალში

ინტერვიუ ანდონი სუბისარეტასთან

ჩემს რეკორდს კასილიასი დაამხობს

ლეგენდარულ მეკარეს მიაჩნია, რომ წარმატების მიღწევა ლეგიონერების გარეშეც შეიძლება...

ესპანეთის ნაკრების ყოფილი მეკარე ანდონი სუბისარეტა ამჟამად უმუშევარია. რამდენიმე წლის წინათ, ეს უდიდესი გამოცდილების ფეხბურთელი "ბილბაოს" სპორტული დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ პოსტი საკუთარი ინიციატივით დატოვა. სუბისარეტას ბასკური წარმოშობის ფეხბურთელების პოვნა ჰქონდა დავალებული, რაც მეტად რთული საქმე აღმოჩნდა. აქ მოყვანილი ინტერვიუ სწორედ "ბილბაოში" წლების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციის შესახებ საუბრით იწყება. როგორც ცნობილია, ბასკური კლუბი მხოლოდ ბასკ ფეხბურთელებს ცნობს და სხვა ეროვნების მოთამაშეს თავის რიგებს არ აკარებს. მიუხედავად ამისა, კლუბი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არცერთხელ არ გავარდნილა სეგუნდა დივიზიონში.

- როგორ გაიხსენებდით "ბილბაოში" სპორტული დირექტორის თანამდებობაზე გატარებულ წლებს?

- მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა, კლუბში შეიცვალა ხელმძღვანელობა და მეც, ამ დროის განმავლობაში მივხვდი, რომ კაბინეტური სამუშაო საჩემო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ახლა, პრეზიდენტის არჩევნების წინ ათასგვარი წინადადებით მომმართავდნენ, მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ამ პოსტზე კენჭს არ ვიყრიდი და არც რომელიმე კანდიდატს დავუჭერდი მხარს.

- ამბობენ, რომ "ბილბაოში" მუშაობისას, ბასკური ფესვების მქონე ფეხბურთელების საძებნად მთელი მსოფლიო შემოიარეთ...

- ეს ცრუ ინფორმაციაა, არ ვიცი საიდან მოიტანეს ეს სისულელე. ასეთი დავალება ჩემთვის არავის მოუცია. თავადაც არ მომივიდოდა თავში ასეთი იდეა.

- ანუ, თქვენ "ბილბაოს" შემადგენლობის დაკომპლექტების ტრადიციული, გავრცელებული წესის მომხრე ხართ?

- მე ამას ტრადიციას არ დავარქმევდი. კლუბი ლეგიონერებზე უარს ეკონომიის მიზნით არ ამბობს, ამას არც იმიტომ აკეთებს, რომ სხვებისგან გამორჩეული იყოს. უბრალოდ, ეს არის რწმენა იმისა, რომ წარმატების მიღწევა საკუთარი ძალებითაც შეიძლება. და აღწევდა კიდეც წარმატებას, მე კარგად მახსოვს ის დრო!

- თუმცა იმ წლებში უცხოელებზე მკაცრი ლიმიტი არსებობდა, და მაღალი კლასის ლეგიონერებიც ნაკლებად იყვნენ...

- სამაგიეროდ როგორები - მარადონა, შუსტერი... დღეს, თითქმის ყველა ესპანურ კლუბში ირიცხება გამოჩენილი უცხოელი ფეხბურთელი, მაგრამ ისინი ყოველთვის არ განსაზღვრავენ გუნდის სახეს. მაგალითად, "სელტის" გულშემატკივართა უმრავლესობა უკმაყოფილოა, რომ ამ კლუბში თითქმის აღარ დარჩნენ გალისიელები. მაღალი დონის ლეგიონერების შეძენა სულაც არ არის თამაშის ხარისხის გარანტია.

- არ გგონიათ, რომ ასეთი პოლიტიკა, ადრე თუ გვიან ჩიხში მიიყვანს ბასკურ კლუბს?

- "ბილბაოს" ისტორია უკვე 108 წელს ითვლის და მთელი ამ დროის განმავლობაში, მას არ გადაუხვევია არჩეული გზისთვის და არცერთხელ არ გავარდნილა პრიმერადან. ასეთი შედეგით მხოლოდ "რეალი" და "ბარსელონა" იწონებენ თავს. ეს ხომ რაღაცას ნიშნავს?! რა თქმა უნდა, არ უარვყოფ, რომ უბედურება ყველას შეიძლება შეემთხვას და თუ ეს ოდესღაც ეს"ბილბაოსაც" დაემართება, არა იმიტომ, რომ ის ლეგიონერებს არ იწვევდა.

ნაწვალები ჩემპიონობა

- თქვენი კარიერა დიდი ტრადიციების მქონე გუნდებში განვითარდა - "ბილბაო", "ბარსელონა", "ვალენსია"... როგორ აფასებთ მათ ამჟამინდელ მდგომარეობას?

- თავიდანვე ვიტყვი, რომ ჩემი სიმპათიები "ბარსელონის" მხარეს იყო, რომელმაც ისე წარმართა პირველი წრე, რომ სხვებზე მეტად იმსახურებდა ჩემპიონის ტიტულს. მაგრამ ბოლო ტურებში ჩემპიონობის ყველაზე ღირსეულ კანდიდატად "რეალი" გამოიყურებოდა, რომელმაც დიდი გაჭირვებით მოიპოვა ეს უფლება. რომ არა გაუგონარი რაოდენობის ტრავმები, "ვალენსიასაც" შეეძლო პირველი ადგილისთვის ბრძოლა. ასეით პირობებში კი, ძნელია წარმატებაზე ფიქრი. თანაც, ამ გუნდს მეტად მოკლე სათადარიგოთა სკამი აღმოაჩნდა იმისთვის, რომ ოპტიმალურად გადაენაწილებინა ძალები ესპანეთის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგას შორის. რაც შეეხება "ბილბაოს", არ მახსენდება ამ კლუბის ისტორიაში ასეთი რთული სეზონი, როცა გუნდი ბოლო ტურამდე ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ფიქრობდა. რა თქმა უნდა, ტრავმები "ბილბაოსთვისაც" პრობლემა იყო, მაგრამ მაინც დაუშვებელია საქმის აქამდე მიყვანა. თუმცა ბოლო მომენტამდე მჯეროდა, რომ ის გადაურჩებოდა ქვედა დივიზიონში გავარდნას.

- პრემერას გუნდებს შორის, რომლის თამაში დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

- რა თქმა უნდა, ყველაზე შთამბეჭდავ პროგრესს "სევილიამ" მიაღწია, თანაც ის იმავე მწვრთნელითა და თითქმის იმავე შემადგენლობით თამაშობდა, როგორითაც წინა სეზონში.

- ვინ მიგაჩნიათ დღეს ესპანეთის საუკეთესო მეკარედ?

- კონკრეტულად ერთი მოთამაშის გამოყოფა გამიჭირდება, რადგან ბოლო წლებში, ჩვენთან მეკარეთა მთელი თაობა გაიზარდა, რომლითაც თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ - კასილიასი, რეინა, ვიქტორ ვალდესი... ისინი ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობენ და ვფიქრობ, ნებისმიერი გუნდის შემადგენლობას დაამშვენებდნენ. ამ სეზონში გაიხსნა პალოპი, რომელიც დიდი ხანი კანისარესის ჩრდილში იყო მოქცეული, ახლა კი, აჯობა კიდეც მას. ასე რომ, ესპანეთი არ განიცდის კარგი მეკარეების დეფიციტს.

- ვის შეუძლია გაუმჯობესოს თქვენ მიერ დამყარებული რეკორდი - ნაკრებში ჩატარებული ყველაზე მეტი მატჩი?

- ვფიქრობ, თუ კასილიასი ასეთი დონეზე თამაშს გააგრძელებს და ტრავმები კარიერას არ გაუფუჭებს, სადღაც 7-8 წლის შემდეგ, ის ახალი რეკორდსმენი გახდება. მომწონს მისი თამაშის მანერა, მინდორზე მოქმედების სტილი.

ანდონი სუბისარეტა

კასილიასი საიმედოა, ფიქრობს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეინარჩუნოს საკუთარი კარის უსაფრთხოება. პუბლიკაზე თამაში მას არ აინტერესებს.

- რომელიმე გუნდში მეკარეების მწვრთნელად მუშაობა არ გიფიქრიათ?

- დიახ, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი წინადადებით ჩემთვის არავის მოუმართავს. შეიძლება იმდენჯერ გავიმეორე, რომ არანაირ ფულად არ მსურდა სადმე მთავარ მწვრთნელად მუშაობა, რომ დავაფრთხე პოტენციური დამქირავებლები. ძალიან ბევრს ძალას და ნერვებს გართმევს ეს სამუშაო. როცა შენს განკარგულებაში 25 ფეხბურთელია, თითოეულს ინდივიდუალურად უნდა მიუდგე, ყველას მიაქციო ყურადღება, გონებაში გქონდეს თითოეულის შესახებ ინფორმაცია, გაანალიზო ის... და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს უმადური საქმიანობაა. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, მთავარ მწვრთნელს ყველა მხრიდან კრიტიკის მოსმენა უწევს. ესპანეთში კრიტიკა ყველაზე კარგად იციან.

ევრო 2008 ესპანეთის გარეშე წარმოუდგენელია

- როგორც აკრიტიკებენ მაგალითად, ესპანეთის ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელს ლუის არაგონესს...

- ვინც არ უნდა ავარჯიშებდეს ესპანეთის ნაკრებს, ყველა უბედურებაში მთავარ დამნაშავედ სწორედ მას დაასახელებენ. ასე იყო და ასე იქნება ყოველთვის. პირადად მე, ყველაფერში არაგონესს არ დავადანაშაულებდი, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტური, როცა "ბარსელონასთვის" უკვე შეიძლებოდა ჩემპიონობის მილოცვა, მაგრამ 20 წამში ყველაფერი თავდაყირა დადგა.

- როგორ ფიქრობთ, თქვენს დროს და დღესაც, ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ესპანეთის ნაკრები, რატომ ვერ ახერხებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე გამარჯვებას?

- ესპანეთის ჩემპიონატი ინგლისის პრემიერლიგასთან ერთად, უძლიერესია ევროპაში. აქ შეკრებილია უცხოური ნაკრებების პრაქტიკულად ყველა უძლიერესი ფეხბურთელი - რონალდინიო, მესი, ბექჰემი, ვან ნისტელროი... მათ წინააღმდეგ სათამაშოდ გასულ ჩვენს ფეხბურთელებს ბოლომდე დახარჯვა უწევთ. გარდა ამისა, ბევრი მათგანი ევროთასებზეც არიან დაკავებული, სადაც ასევე ნებისმიერი მეტოქე სერიოზულ ძალას წარმოადგენს. გადატვირთული კალენდარი ენერგიის აღსადგენად დროს არ გიტოვებს და თუ სეზონის მსვლელობისას, ნაკრების ფეხბურთელები ჯერ კიდევ ახერხებენ რამდენიმე ფრონტზე ბრძოლას, ზაფხულში, დიდ საფეხბურთო ტურნირებზე ისინი მორალურად და ფიზიკურად გამოფიტულნი არიან.

- იქნებ, ესპანელებს უცხოელმა სპეციალისტმა უშველოს?

- იზოლაციის მომხრე არ გახლავართ. თუ ინგლისელებმა დასახმარებლად უცხოელ სპეციალისტს მიმართეს, მაშინ სხვებზე რაღა უნდა ვილაპარაკოთ! სხვა საქმეა, რომ ერიქსონმა ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია, თუმცა ის ცნობილი სკანდალი რომ არა, შვედი სპეციალისტი დღესაც იმუშავებდა ნაკრებში.

- შეიძლება ესპანეთის ნაკრები ვერ მოხვდეს ევრო 2008-ზე?

- მე მგონია, რომ საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც ამის წარმოჩენას ჩვენი პრესა ცდილობს. ესპანელი ჟურნალისტების განმასხვავებელი ნიშანი - უკიდურესობაში გადავარდნაა. ესპანეთის ნაკრების ჯგუფიდან გასვლის შანსს, სერიოზული ზიანი მიაყენა ჩრდილოეთ ირლანდიასთან წაგებამ. არადა, მეტოქეზე კარგად ვთამაშობდით, მეტი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ დაცვაში დაშვებულმა ორმა შეცდომამ მთელი მონდომება წყალში ჩაყარა. ახლა ყველაფერი სამ მატჩში გადაწყდება: შინ შვედეთთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან და სტუმრად დანიასთან. თუ სამივე მატჩს მოვიგებთ, ჯგუფში პირველები ვიქნებით. მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, ევროპის ჩემპიონატი ესპანეთის გარეშე ვერ წარმომიდგენია.

გიორგი თვალია

სვენმა სიტი ნახა

სვენ გორან ერიქსონი მანჩესტერში, გუშინ ის "სიტის" საწვრთნელ ბაზაზე უბრალო ტურისტივალი შეგირდები გაიცნო. ფეხბურთელებს შვებულება დაუმთავრდათ და პირველი ვარჯიში გამართეს. ტაილანდელმა მილიარდერმა **ტაქსინ შინავატრამ** მანჩესტერული კლუბის გამოსყიდვა თითქმის დაასრულა. ერიქსონი მწვრთნელის მოვალეობათა შესრულებას ჯერ არ შედგომია. გუშინ ის საპატიო სტუმრის სტატუსით იყო აღჭურვილი და საწვრთნელ პროცესს შორიდან ადევნებდა თვალს. ფეხბურთელები მხოლოდ ფიზიკური კონდიციების აღდგენაზე მუშაობდნენ. ამ მოვალეობას კი ფიზმომზადების მწვრთნელებმაც უპრობლემოდ გაართვეს თავი. სვენს გადაწყვეტილი აქვს, მეორე მწვრთნელის პოსტი ინგლისის ნაკრებში მის ყოფილ ასისტენტ **ტორდ გრიპს** შესთავაზოს. ეს სპეციალისტი ერიქსონთან ერთად "ლაციოშიც" მოღვაწეობდა. წუხანდელი ინფორმაციის თანახმად, დღეს სვენი პრესკონფერენციას ჩაატარებს. იმის ოფიციალური პრეზენტაციის თარიღი უცნობია. მას "სიტის" მწვრთნელად სავარაუდოდ კვირის ბოლომდე დაამტკიცებენ.

შერინგემი კოლჩესტერში ჩაირიცხა

ტედი შერინგემი კარიერის დასრულებას ისევ არ ჩქარობს. "ვესტ ჰემთან" კონტრაქტის ამონურვის შემდეგ, თავისუფალი აგენტის სტატუსით მან პირველი დივიზიონის კლუბ "კოლჩესტერს" მიაშურა. "კოლჩესტერის" ხელმძღვანელობა ტრანსფერით ძალიან კმაყოფილია. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ უბერებელი თაყვანმცემელი მათ პრემიერლიგის საგზურის მოპოვებაში დაეხმარება. "კოლჩესტერამდე" 41 წლის ვარსკვლავს ამერიკაში გამგზავრებასაც უწინასწარმეტყველებდნენ.

ლევერკუზენი ბრაზილიელებს ემშვიდობება

ლევერკუზენის "ბაიერი" ორ ბრაზილიელ ლეგიონერს ემშვიდობება. **როკე ჟუნიორსა** და **ატირსონს** ახალი სამსახურების მოძებნა მოუწევთ. ჟუნიორს კონტრაქტი დაუმთავრდა. კლუბმა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება არ ისურვა. რაც შეეხება ატირსონს, მის ხელშეკრულებაში ორი წელიწადი იყო დარჩენილი, მაგრამ კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე განყვიტეს. უცნობია, რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი.

სილვესტრი: ბორდო თუ ლიონი?

მიკაელ სილვესტრს კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა. 29 წლის ფრანგ მცველს "ბორდო" ეპატიჟება. ბორდოელთა დამრიგებელი **ლორან ბლანია**. ის მწვრთნელის ამპლუაში სადებიუტო სეზონისათვის ემზადება და შემადგენლობას აძლიერებს. სილვესტრმა გასულ სეზონში მანჩესტერელთა შემადგენლობაში მხოლოდ 14-ჯერ ითამაშა. ის "მენიუს" ოფიციალურ საკლუბო ფოტოზეც ვერ მოხვდა. მიკაელმა იცის "ბორდოს" ინტერესების შესახებ, მაგრამ იქ გადასვლის შემთხვევაში, საგრძნობლად შემცირებულ ხელფასზე მოუწევს დათანხმება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, სილვესტრის შეძენა "ლიონსაც" სურს.

ლაუთი პანოვერში გადავიდა

გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, ერთ დროს გერმანიის ერთ-ერთ უნიჭიერეს ფორვარდად მონათლული **ბენიამინ ლაუთი**, რომელიც საფეხბურთო მსოფლიომ „მიუნხენ 1860-იდან" გაიცნო, „ჰამბურგიდან" „ჰანოვერში" გადავიდა. 25 წლის თავდამსხმელმა გასული სეზონის მეორე წრე, როგორც იცით, „შტუტგარტში" იჯარით გაატარა და გერმანიის ჩემპიონი გახდა, რის შემდეგაც HSV-ში დაბრუნდა. მაგრამ იმის გამო, რომ ბენი **ჰუუბ სტევენსს** არ სჭირდებოდა, ჩრდილოგერმანულმა გუნდმა ის „ჰანოვერში" გაყიდა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ნოლებმა" HSV-ს ლაუთის სანაცვლოდ 500 000 ევრო გადაუხადეს. ბენიმ „ჰანოვერთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა.

ხარისტეასი ნიურნბერგში?

გერმანიის თასის მფლობელი „ნიურნბერგი" თავდამსხმელ **მარკუს შროთის** შემცვლელს ეძებს, რომელიც „მიუნხენ 1860-ში" გადავიდა. გაირკვა, რომ **ჰანს მაიერის** გუნდში გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი „ფეიენორდის" ბერძენი თავდამსხმელი **ანგელოს ხარისტეასია**, კაცი, რომელმაც 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ერთადერთი გოლი გაიტანა. 27 წლის თავდამსხმელი ადასტურებს, რომ მისი მრჩეველი „ნიურნბერგის" შეფებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ᲰᲔᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲰᲔᲠᲑᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲰᲔᲠᲑᲔᲠᲢᲛᲐ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ახალგაზრდების თამაშს:

"პირველ რიგში, კმაყოფილი დავრჩი ახალგაზრდების გარჯით. იტალიაში მოასპარეზე ნიკა მეტრეველი, ესპანეთიდან ჩამოსული კოკა ტომარაძე და საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე გიორგი ბარბაქაძე აქამდე არ მენახა და მათი თამაშით, პირდაპირ გეტყვით, აღფრთოვანებული დავრჩი. მათ არც საკალათბურთო ინტელექტი აკლიათ, არც მონდომება, არც პოტენციალი და დღესვე შემიძლია ვთქვა, რომ ადრე თუ გვიან ნაკრებში აუცილებლად ითამაშებენ. ოღონდ, ისე არ გაიგოთ, თითქოს მათ 18 ივლისის შეკრებისთვის ვიბარებდე. ჯერ ბევრი მაქვს საფიქრალი და მათაც ყველაფერი წინ აქვთ. 16-17 წლის ბიჭები არიან და ფიზიკურადაც უნდა მოლონიერდნენ".

აქვე გაჩნდა კითხვა: როგორი შთაბეჭდილება დატოვეს მწვრთნელზე შედარებით გამოცდილებმა?

"დავით უგრეხელიძეს კარგად ვიცნობ. ის ყოველთვის ფორმაშია. აქამდე არ შევხვედრივარ "ბაბუს" (ზვიად ბაბიაშვილს), რომელმაც ფარქვეშ ბევრი იბუშავა, და ბესიკ ლეჟავას, რომელიც მეტისმეტად სხარტი და მონდომებული ბიჭია. მოკლედ, უკმაყოფილო არ ვარ, პირიქით. სწორედ ამიტომ ვთქვი, საუკეთესოთა შერჩევა გამიჭირდება-მეთქი. მინდა დავამატო, რომ დიდი არჩევანის მიუხედავად, ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ისინი მოხვდებიან, ვინც გუნდს სათანადოდ მიესადაგებიან როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში. მოკლედ, ისინი, ვინც A დივიზიონში გადაგვიყვანენ".

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲒᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲯᲘᲣᲓᲝ

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲠᲝᲥᲔᲔᲑᲘ

ზაზა კედელაშვილი ბენჟამინ დარბელეს (მარცხნივ) წინააღმდეგ

ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲡ

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ,საფრანგეთის ვაუ ძიუდოისტთა ნაკრები სექტემბრეში, რიო დე ჟანეიროში ერთ-ერთი ლიდერის, ევროპის ჩემპიონ **ბენჟამინ დარბელეს** (66) გარეშე ჩავიდეს. შეგახსენებთ, რომ დარბელე **ზაზა კედელაშვილის** ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტია. შარშან, როცა ჩვენებური პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი, ფინალური შეხვედრა სწორედ ბენჟამინს მოუგო. არადა, მაშინ, ფინურ ტამპერეში, კედელაშვილი დებიუტანტი გახლდათ, ფრანგი კი ევროპის 2003 წლის ჩემპიონი იყო...

სამწუხაროდ, ფრანგული წყაროები ნაკრებიდან დარბელეს შესაძლო მოკვეთის შესახებ დანვრილებით არაფერს ამბობენ. საფრანგეთის ძიუდოს ფედერაციის საიტზე გამოქვეყნებული მწირი ინფორმაციებით გავარკვიეთ, რომ დარბელე საკუთარი მანქანით ავარიაში მოყვა, მთავარმა მწვრთნელმა და ფედერაციის ხელმძღვანელობამ კი არასპორტული საქციელისთვის ნაკრებიდან მოკვეთეს. საიტზე მაშინვე გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ დარბელე მსოფლიო ჩემპიონატზე არ იჭიდავებდა, თუმცა, მოგვიანებით, ფედერაციამ პოზიცია შეარბილა. სადღეისო მდგომარეობა ასეთია: დარბელეს საკითხს აგვისტოში განიხილავენ, მანამ კი სპორტსმენს მონანიება-გამოსწორების შანსი ეძლევა. თუ ის გულმოდგინედ ივარჯიშებს და სანვრთნელ პროცესს ზერელედ არ მოეკიდება, იქნებ, ისევ დართონ ბრაზილიაში გამოსვლის ნება.

ვფიქრობთ, საბოლოოდ ასეც მოხდება. არა გვგონია, მსოფლიოს წამყვანი ნაკრები წამყვანსავე სპორტსმენს ასე იოლად შეელიოს. მანამ კი დარბელე მსოფლიოზე წამსვლელ გუნდში არაა: **დმიტრი დრაგინი** (60, სარეზერვო **ჟერემი კადო დუკი**), **დანიელ ფერნანდესი** (73), **მატიო დეფრევილი** (90, **ნიკოლას ბრისონი**), **ფრედერიკ დემონფოკო** (100, **ტიერი ფაბრი**), **ტედი რინერი** (+100, **მატიო ბატე**), **მატიო ბატე** (აბსოლუტური, **იან სებასტიან ბონვოისინი**).

როგორც ვხედავთ, აქ ორი წონა საერთოდ ღიადაა დატოვებული - 66 და 81. 66-ზე მოგახსენეთ, 81-სას კი ვერაფერს გეტყვით, იქაური მედია ამაზე დუმს. ევროპაზე ამ წონაში **ალან შმიტმა** იჭიდავა, თუმცა პირველივე წრიდან გავარდა. სხვა მხრივ, ფრანგთა შემადგენლობა საბრძოლოა, მათ აბსოლუტურად ყველა ლიდერს უხმეს. გუნდშია მძიმეწონოსანი "ამომავალი ვარსკვლავი" **ტედი რინერიც**, რომელზეც ბოლო ხანებში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და არა მხოლოდ საფრანგეთში. ფრანგები მას სულაც ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **დავიდ დუიეს** შემცვლელად მიიჩნევენ. ჯერჯერობით, ისიც სრულად ამართლებს იმედებს. შარშან, ახალგაზრდებში, თამაშ-თამაშში მოიგო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატი, ნლეულს კი პირველად იჭიდავა ევროპირველობაზე და განსაკუთრებული ტალანტის შთაბეჭდილება თუ არ დატოვა, ვერც იმას ვიტყვით, რომ ოქროს მედლის მოპოვება დიდად გაუჭირდა.

მისი ჩემპიონობა ჩვენთვის ცუდად მოსაგონარი იმადაა, რომ ფინალში **ლაშა გუჯეჯიანი** დაგვიმარცხა.

როგორც ვხედავთ, **მატიო ბატე** ერთბაშად ორ წონას ავსებს: თუ აბსოლუტურში პირველი ნომერია, მძიმეში რინერის აზღვევს. ამ ახალთაობის დუეტმა ნაკრებიდან კიდევ ერთი ახალგაზრდა, მსოფლიოს პრიზიორი **პიერ რობინი** ამოაგდო.

შემადგენლობა გამოაქვეყნეს ბრიტანელებმაც: **კრეიგ ფელონი** (60), **იანრენე ბადრიცკი** (66), **მეთიუ პირსი** (73), **ეუან ბარტონი** (81), **უინსტონ გორდონი** (90), **პეტერ გუსინსი** (100). როგორც ხედავთ, მათი გუნდი არასრულია - მძიმესა და აბსოლუტურში მონაწილე არ ეყოლებათ, თუმცა არ გამოვრიცხავთ, გამოსაცდელად მაინც ნაიყვანონ ვინმე. ისე, საკითხავია, რას ერჩოდნენ **ჯო დელეის**, რომელსაც აქამდე მძიმე წონაში სისტემატურად აჭიდავებდნენ.

ბრიტანელთა მთავარი იმედი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ფელონია. იქაური მედია სიხარულს ვერ მალავს, რომ მხრის ოპერაციის შემდეგ ის მწყობრში ჩადგა. ამ ოპერაციამ მას წლევანდელი ევროპირველობაც გამოატოვებინა და, სავარაუდოდ, ამდენი უქმობის შემდეგ, მსოფლიოსთვის სრულად ვერ მოემზადება, მაგრამ ის იმდენად ნიჭიერი სპორტსმენია, მისი ჩამოწერა არაფრით ეგების.

ამომავალი ვარსკვლავი ბრიტანელებსაც ჰყავთ. ფელონის შემდეგ იქაური პრესა ყველაზე მეტს 17 წლის ბადრიცკიზე საუბრობს. ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი და ბრიტანეთის ღია პირველობის გამარჯვებული ნაკრებში პირველ სეზონს ატარებს. მან ევროპაზე უკვე იასპარეზა, მსოფლიოზე კი დებიუტი ექნება. ბრიტანელთაგან ბარტონი, გორდონი და გუსინსი ევროპის პრიზიორები არიან.

გადავიდეთ აზერბაიჯანზე. მენისკის ოპერაცია გაიკეთა ნაკრების ლიდერმა და ევროპის ჩემპიონმა **ელნურ მამადლიმ** (73). როგორც იქაური ნაკრების თავკაცმა **აგაიარ ახუნდზადემ** განაცხადა, ტრავმა იმდენად სერიოზული არ აღმოჩნდა და ახლა გადავწყვიტეთ ოპერაციაო. თუმცა გასაკვირია, კაცს მენისკი ჰქონია საოპერაციო და ამაზე მეტს რას ელოდნენ? ასეა თუ ისე, ჩვენმა მეზობლებმა ისარგებლეს საერთაშორისო კალენდარში არსებული პაუზით და მამადლის ოპერაცია გერმანიაში გაუკეთეს. ალბათ, მსოფლიომდე გამოჯანმრთელდება და მედლისთვის თუ არა, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის მაინც იბრძოლებს.

დასასრულ, საქართველოს ნაკრების შემადგენლობასაც შეგახსენებთ, თუმცა ჯერ ორ წონაში (81 და აბსოლუტური) მონაწილე არ გარკვეულა. შოთა ხაბარელმა ბრაზილიაში წასაყვანად **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) შეარჩია. ჩვენი ნაკრები ამჟამად მინსკში, "სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე ვარჯიშობს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲩᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ 2007

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲓᲐᲜ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ქულათა მაქსიმუმი მიულია სპორტის აკადემიაში ნორმატივების ჩაბარებისას, მაგრამ საერთო-ეროვნულ გამოცდებზე აღარ დარჩენილა, ამ თამაშებსა და ახლო მომავალში, ბელგრადში გასამართ ახალგაზრდულ სპორტულ ფესტივალზე გაუკეთებია არჩევანი - გამოცდებზე გასვლას გაისადაც მოვასწრებო...

4 ივლისს, დილით, შეჯიბრებაში პირველები ჩაებნენ "ანტიკოსი" მოჭიდავეები. მათი წყალობით, თამაშების მეორე დღე ჩვენთვის ბარაქიანი გამოდგა. პირველი ქართული მედალი ბრინჯაო იყო. ეს ჯილდო წილად ხვდა **გიორგი ღვიანიაშვილს** (76 კგ). როგორც მწვრთნელმა გვითხრა - გიორგის წელი ასტკივდა, თორემ ფინალში იჭიდავებდაო. ამის შემდეგ კი იყო პირველი ოქრო. **გიორგი დავითაია** (46) "ანტიკოსთა" ტურნირში ყველაზე უმცროსია, თუმც თავისზე უფროსებს ტოლი არაფერში დაუდო. მან ფინალშიც ბრძოლის საოცარი ჟინი გამოავლინა და აზერბაიჯანელ **ზარხან მამედოვთან** დაძაბული პაექრობა თავის სასარგებლოდ დაასრულა. შავი ზღვის თამაშებზე პირველად აუღერდა საქართველოს ჰიმნი და აღიმართა ჩვენი ქვეყნის დროშა!

მერე ხალიჩაზე გავიდა **როინ ძირკვაძე** (42), რომელმაც ფინალი აზერბაიჯანელ **ედან აზიზთან** დათმო და ვერცხლს დასჯერდა. რჩებოდა კიდევ ერთი შანსი - ოქროსთვის ბრძოლაში **პაატა ბაკურიძის** (63) მეტოქე კიდევ ერთი აზერბაიჯანელი, **გუნდუზ საფაროვი** გახლდათ. ბაკურიძემ 7:0 გაიმარჯვა და საქართველოს ყულაბაში ერთი ოქროც ჩაჩხრიალდა. საყურადღებოა, რომ ხუთი წონითი კატეგორიიდან ოთხში მედალი მოვიპოვეთ!

ველოსიპედისტებმა მრავალდღიანი რბოლის მეორე ეტაპი რიზე-ტრაბზონის მონაკვეთზე (81 კმ) გაიარეს. მთლიანობაში, ქართველებისთვის კარგი დღე იყო, თუმცა ჩვენს ლიდერს **ნოდარ ყვავაძეს** ნაკლებად გაუმართლდა. მეორე ეტაპი მეორე ადგილზე დავასრულეთ. **კონსტანტინე ალავერდაშვილი** ფინიშთან მეოთხე მიიჭრა, **დავით ასკურავა** მეშვიდე იყო, ხოლო **რამაზ ბაბუხადია** მერვე. საერთო ჩათვლაში, მეოთხე ადგილზე ვართ. ყველაზე წინ **ყვავაძეა** (2:19:50, მეშვიდე ადგილი), დანარჩენ ქართველებს 2:24:00 შედეგი აქვთ, სულ ბოლო კი, 34-წამიანი ჩამორჩენით, ალავერდაშვილი მოდის.

მოცურავეთაგან, ბათუმელი **ზურაბ მთვრალაშვილი** 200 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში მეოთხე იყო.

დღის ბოლოს, ქართული დელეგაციის ხელმძღვანელობამ ჩვენს მედალოსნებს საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ამრიგად, ორი დღის შემდეგ საქართველოს 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი აქვს. რუსების წილად კი 9 ოქრო, 9 ვერცხლი და 3 ბრინჯაო მოდის. გუნდურ ჩათვლაში საქართველო, ჯერჯერობით, მეხუთეა.

ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲩᲐᲑᲑᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲗ ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ...

7-8 ᲘᲕᲚᲘᲡ, მოსკოვში შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის ფინალური ეტაპი გაიმართება. საქართველოს ნაკრები, რომელმაც ორი შესარჩევი ეტაპის ჯამში 24 ქულა დააგროვა, დასკვნით შეჯიბრებაში B ჯგუფში იასპარეზებს იტალიის, ესპანეთის, უკრაინის, მოლდოვისა და ლიტვის ნაკრებებთან ერთად. A ჯგუფში კი საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და ანდორის ეროვნული გუნდები ითამაშებენ.

აღსანიშნავია, რომ ფინალურ სტადიაზე ვერ გააღწია ევროპის უცვლელმა ჩემპიონმა პორტუგალიამ. "ლობუშები" თავიანთ ბოლო, ჰაიდელბერგის ეტაპზე მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდნენ და ფინალს მიღმა დარჩნენ.

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მოსკოვში საასპარეზოდ მზადებას ორი კვირის წინ შეუდგა. ფინალურ ეტაპზე ჩვენი შვიდკაცელები მნიშვნელოვნად გადახალისებული შემადგენლობით ითამაშებენ. ლელოელი **ლაშა ხმალაძე**, აკადემიელები - **დავით გურგენიძე** და **ლევან ხუხუნეიშვილი**, ასევე ანდორაში მოთამაშე **შალვა სუთიაშვილი** წლეულს პირველად მოირგებენ შვიდკაცა რაგბის ნაკრების კვართებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ: ვახტანგ ახვლედიანი, **ირაკლი გეგენავა**, ალექსანდრე ნიჟარაძე, **გიორგი კალმახელიძე** (ყველა ყოჩები), **ლაშა ხმალაძე**, **დავით ჩიტიძე** (ორივე ლელო), **გიორგი კაჭარავა** (ვანი), **შალვა სუთიაშვილი** (ანდორა), **დავით გურგენიძე**, **ლევან ხუხუნეიშვილი** (აკადემია). ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ: **მამუკა ტყეშელაშვილი**, **კახა ალანია**. ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: **გიორგი ასათიანი**.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲘᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲢᲐᲞᲘ

7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲚᲘᲢᲕᲐ

8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲗ

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲩᲐᲮᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (147) მოგებით დაიწყო კუნეოს საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. მაკას პირველი მეტოქე ტურნირზე "უაილდ ქარდით" მინვეული იტალიელი **კორინა დენტონი** იყო. ქართველმა ჩოგბურთელმა ორ სეტში გაიმარჯვა - 6:2, 7:5. როგორც იტალიური წყარო წერს, ჩახნაშვილმა ტრავმით ითამაშა და მას ხშირად ექიმის დახმარება სჭირდებოდა ბრძოლის გასაგრძელებლად. სამწუხაროდ, არის იმის საფრთხე, რომ მაკა მერვედფინალში ტურნირის მეშვიდე ნომერს, გერმანელ **იულია შრუფს** (110) ვერ გამოუცხადდეს. ყოველ შემთხვევაში, მატჩზე მყოფ იტალიელ ჟურნალისტებს ასეთი შთაბეჭდილება დარჩათ. 24 წლის შრუფს მაკა შარშან, ბორდოში, 75-ათასიან ტურნირში შეხვდა და ორ სეტში მოუგო.

ერთეულთა თანრიგის მატჩამდე მაკამ უკრაინელ **იულია ბეიგელზმერთან** დუეტში **ეკატერინა ბიჩკოვა** და **ივონ მოისბურგერი** დაამარცხა - 6:2, 7:5. წყვილთა თანრიგში ქართულ-უკრაინული დუეტი მეოთხე ნომრადაა განთესილი. ახლა მაკას და იულიას მეოთხედფინალში ფრანგულ-ესპანური (**ჰუკი, პოუს-ტიო**) წყვილი ეღირს. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ჩახნაშვილმა პადოვის 25-ათასიანი ტურნირი მოიგო და კარიერაში მეექვსე ტიტული მოიპოვა.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ



მაკა ჩახნაშვილი

ჭადრაკი | რეიტინგები

ჭენდენცია კლებისკენ

ფიდემ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. ეს მაჩვენებლები სამ თვეში ერთხელ ახლდება და მორიგმა განახლებამაც 1 ივლისს უწია. საერთოდ, თანამედროვე სპორტში რეიტინგი ძალზე მნიშვნელოვანი რამ გახდა, განსაკუთრებით, ინდივიდუალურ სახეობებში... ეგებ, ჭადრაკში ყველაზე მეტადაც კი აქცევდნენ ამ მაჩვენებლებს ყურადღებას, ვინაიდან ამ ნიშნით უამრავი პრივილეგია ეძლევათ მოჭადრაკეებს, რაც, პირველ რიგში, სარფიან წინადადებასა და მაღალრეიტინგიან, დიდი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირებზე მიწვევას ნიშნავს. ქართველებიდან ასეთ პატივს, თავის დროზე, **ზურაბ აზმაიფარაშვილი** იმსახურებდა. ბოლო წლებია, რამდენჯერმე **ბაადურ ჯობავამაც** გაუგო გემო ელიტურ "წვეულებებს", მაგრამ, სამწუხაროდ, ორივემ დათმო პოზიციები და "ბომონდში" დასაბრუნებლად დიდი ჯაფა დაადგებათ. საერთოდ, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ქართულ ჭადრაკში რეიტინგების მხრივ მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება. ასეთი სურათი კი, დიდწილად აჩენს ჩვენს ჭადრაკში არსებულ ვითარებას - საერთო დონეც იკლებს. ცხადია, არის ზრდაც და მნიშვნელოვანიც, მაგრამ უმეტესად, საპირისპირო სურათს ვხედავთ.

მაგალითად, ქართულ ათეულს თუ გადავხედავთ და დღევანდელსა და 1 აპრილის მონაცემებს შევადარებთ, ასეთი სურათი გამოჩნდება: ჯობავამ 14 პუნქტი დაიკლო და მეორე ადგილზე ჩაინაცვლა; მისი ადგილი დაიკავა **ზვიად იზორიამ**, რომელმაც მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა - 3 პუნქტი შეიმატა. აზმაიფარაშვილი მესამე ადგილიდან (2632) სულაც მერვემდე ჩამოქვეითდა (2604), რაც უსიამოვნო სიურპრიზია - აზმაიფარაშვილს ასეთი დაბალი რეიტინგი ბოლოს როდის ჰქონდა, თავადაც არ უნდა ახსოვდეს. აპრილში, მეოთხე **მერაბ გაგუნაშვილი** იყო 2625 ქულით, ახლა კი 2615 ქულა აქვს, თუმცა ადგილი იგივე უკავია. დაიკლო **ლევან ფანცულაიამაც** - 2616-დან 2611-ეზე ჩამოვიდა. და ერთი საფეხურით დაბლა, მეექვსეზე დგას. ათეულიდან გავარდა **გიორგი უაჭეიშვილი** - აპრილში, მეცხრე ადგილზე იყო 2587 ქულით, ახლა კი 2565 ქულით მეთერთმეტეა. ათეულში ოთხი მატებაა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა **მიხეილ მჭედლიშვილს** აქვს - აპრილში 2609 ქულა ივლისისთვის 2624-მდე გაზარდა და მესამეა; ერთი საფეხურით ზემოთ აიწია და მეხუთეა **გია გოგაძე**, რომელმაც აპრილის მაჩვენებლებს მხოლოდ ორი პუნქტი მიუმატა და ახლა 2612 ქულა აქვს; უცნაურია, მაგრამ **თამაზ გელაშვილმა** ერთი პუნქტით დაიკლო, თუმც ერთი ადგილით წინ წაწია - 2604 ქულა დღეისთვის მეშვიდე ადგილისთვის საკმარისია. მეათე წევრი **დავით შენგელიაა** და ამ გვარის გამოჩენა სიახლე გახლავთ - ბოლო წლებია, ის ათეულში ვერ ხვდებოდა. დავითის მაჩვენებელი აპრილისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება - მისმა ქულათა მარაგმა 49 პუნქტით მოიმატა.

ქალთა ათეულსაც თუ გადავხედავთ, სახარბიელო სურათი არც აქ გვაქვს. მართალია, **ლელა ჯავახიშვილმა** მრავალი ქულა შეიმატა, მაგრამ ქართული ათეულისთვის ეს უფრო სასიამოვნო გამონაკლისია - ჯავახიშვილმა აპრილის 2425-ს 35 პუნქტი მიუმატა და 2460 გაუხდა, რაც ქართველთა შორის მეორე შედეგია. პირველობას კვლავ **მაია ჩიბურდანიძე** ინარჩუნებს, თუმცა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს გვარიანი კლება აქვს - მისი მაჩვენებელი 2510-დან 2496-მდე დაეცა. დაიკლო **ნინო ხურციძემაც**, რომელიც აპრილში მეორე იყო 2469 ქულით, ახლა კი 2450-ით მესამეა. მეოთხეა შოტლანდიაში მცხოვრები **ქეთევან არახამია-გრანტი**, თუმცა კლება მასაც აქვს - 2435-დან 2418-მდე შეუმცირდა მაჩვენებელი. კვლავ დაიკლო **ნანა ძაგნიძემ**, რომელიც აპრილში 2435 ქულით მეოთხე იყო, ახლა კი 2404 აქვს და მეშვიდეა. მეხუთე ადგილზე **ანა მათნაძემ** აინაცვლა 2409 ქულით. ანას აპრილში 2384 ქულა ჰქონდა და ქართველთა შორის მეცხრე იყო. მეექვსეა **მაია ლომინეიშვილი**, რომელმაც აპრილის შემდეგ 6 პუნქტი მოუმატა მონაგარს და 2405 გაუხდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მატება **სოფიკო ხუხაშვილს** აქვს - აპრილში 2334 ქულით მეთექვსმეტე იყო, ახლა კი 2392 ქულა აქვს და მერვეა. მეცხრეა **სალომე მელია**, რომელმაც ათეულში ერთი ადგილი, ხოლო რეიტინგში 22 პუნქტი დაკარგა - ამჯერად, სალომეს 2372 ქულა აქვს. ათეულს ასრულებს **სოფიო გვეტაძე**, რომელიც აპრილში მეექვსე იყო 2408 ქულით. სოფოს დღეისთვის 2371 ქულაღა აქვს.

ცხადია, შეგვიძლია ათეულს მიღმა მყოფი მოჭადრაკეთა ქულების შედარება, მაგრამ ეს საქმე შორს წაგვიყვანს. ფაქტი ერთია - კლება აშკარაა, რაც ქართული ჭადრაკის მესვეურებს დაფიქრების საბაბს აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერ მოჭადრაკეთა ნაკლებობას არ განვიცდით, შედეგი არადამაკმაყოფილებელია. აპრილისგან განსხვავებით, არ შეცვლილა 2600 და მეტის მქონე მოჭადრაკეთა რაოდენობა - 8; თუმცა იკლო 2500 და მეტი რეიტინგის მქონეთა რიცხვმა - აპრილში შვიდი ასეთი მოჭადრაკე გვყავდა, ახლა ხუთია. ამ ხუთიდან მხოლოდ ორმა გააუმჯობესა მაჩვენებელი - დავით შენგელიამ და **დავით არუთინიანმა**. ოდნავ იმატა 2400 და მეტის მქონეთა რიცხვმა - იყო 19, ახლა 24-ია. ასეთმა "ზოგ-ზოგმა" საქართველოს მსოფლიოს რეიტინგში მეცხრე ადგილი შეუნარჩუნა. პირველი კვლავ რუსეთია, საშუალო რეიტინგით - 2725; მეორეა უკრაინა - 2676. შემდეგ მოდიან: 3. ჩინეთი - 2632; 4. აშშ - 2631; 5. ისრაელი - 2629; 6. სომხეთი - 2626; 7. უნგრეთი - 2620; 8. საფრანგეთი - 2619; 9. საქართველო - 2612; 10. პოლონეთი - 2611.

ლელა ჯავახიშვილი



ზვიად იზორია

რახან მსოფლიო რეიტინგებს შევეხეთ, ვთქვათ, რომ ტოპ-ასეულიდან გავარდნენ აზმაიფარაშვილი და გაგუნაშვილი, თუმცა ერთი ქართველი კი შევიდა - მიხეილ მჭედლიშვილი, რომელიც 2624 ქულით მეასეა. ასეულში ზვიად იზორიას 75-ე ადგილი უჭირავს, ბაადურ ჯობავას კი 76-ე.

ქალთა ორმოცდაათეულშიცაა დანაკლისი - გავარდნენ ნანა ძაგნიძე და სოფიო გვეტაძე, შემატებით კი არც ერთი ქართველი არ შემატებია. მაია ჩიბურდანიძე მეათე ადგილამდე ჩამოქვეითდა; ლელა ჯავახიშვილი 23-ეზე აღზევდა; ნინო ხურციძე 29-ეა; ხოლო ქეთევან არახამია-გრანტი 42-ე.

ქალებში უპირობოდ ლიდერობს უნგრელი **იუდით პოლგარი**, რომელსაც კაცთათვისაც კი უნიკალური მაჩვენებელი აქვს - 2707. ეს მაჩვენებელი მსოფლიოში მეცხრამეტეა. ქალებში მეორეა ინდოელი **ჰამარ კონერუ** - 2572; 3. **პია კრამლინგი** (შვედეთი) - 2533; 4. **იფან ჰოუ** (ჩინეთი) - 2523; 5. **ჭუ ჭენი** (ყატარი) - 2522; 6. **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუსეთი) - 2515; 7. **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი) - 2502; 8. **ანა უშენინა** (უკრაინა) - 2502; 9. **სიუ ჭაო** (ჩინეთი) - 2500; 10. **მაია ჩიბურდანიძე** - 2496.

კაცთა შორის პირველი, ინდოელი **ვიშვანათან ანანდია** - 2792 ქულა. მეორეა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვი** - 2769; ამდენივე აქვს და მესამეზეა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, რუს **ვლადიმირ კრამნიკს**. მეოთხეზე აინაცვლა უკრაინელმა **ვასილი ივანჩუკმა** - 2762; მეხუთეა რუსი **ალექსანდრ მოროზევიჩი** - 2758.

სუპერრეიტინგი (2700 და მეტი) 21 მოჭადრაკეს აქვს. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, ესენი არიან: 6. **შახრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) - 2757; 7. **პეტერ ლეკო** (უნგრეთი) - 2751; 8. **ლევონ არონიანი** (სომხეთი) - 2750; 9. **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) - 2746; 10. **დმიტრი იაკოვენკო** (რუსეთი) - 2735; 11. **ალექსეი შიროვი** (ესპანეთი) - 2735; 12. **პეტერ სვიდლერი** (რუსეთი) - 2735; 13. **ბორის გელფანდი** (ისრაელი) - 2733; 14. **ალექსანდრ გრიშჩუკი** (რუსეთი) - 2726; 15. **მაიკლ ადამსი** (ინგლისი) - 2724; 16. **გატა კამსკი** (აშშ) - 2718; 17. **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) - 2710; 18. **ვლადიმერ აკოფიანი** (სომხეთი) - 2708; 19. **იუდით პოლგარი** (უნგრეთი) - 2707; 20. **რუსლან პონომარიოვი** (უკრაინა) - 2706; 21. **პაველ ელიანოვი** (უკრაინა) - 2701.

ზვიად შათირიშვილი



ბეჟან ჭიჭინავა

ჭიდაობა

ახალგაზრდული ნაკრები. ევროპის ჩემპიონატის წინ

აქ კარგად ვართ, როგორ ვიქნებით სერბეთში?

საქართველოს მოკრივეთა ახალგაზრდული ნაკრები ასრულებს სამზადისს მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის. გუნდი გლდანის, დუნდუების კრივის დარბაზში გადის შეკრებას, სადაც ხვალამდე დარჩება, ზეგ კი სერბეთისკენ აიღებს გეზს. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი ბელგრადთან ახლოს, სამბორაში ტარდება. ორწლიანი პაუზის შემდეგ, ეს იქნება პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრება ჩვენი ახალგაზრდებისთვის. აქამდე, გუნდი მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ტურნირებით შემოიფარგლებოდა, ხოლო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მხოლოდ კადეტთა და ეროვნული ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ...

გუშინ, გავესაუბრეთ ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეჟან ჭიჭინავას, რომელიც შეგირდების კონდიციებით კმაყოფილია და კონტინენტის პირველობას ოპტიმისტური განწყობით ხვდება...

- გლდანის დარბაზში, საქართველოს კვალობაზე, საკმაოდ კარგი პირობები გვაქვს. დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით ვემზადებით, დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს და სამზადისს 5 ივლისს დავასრულებთ. 6 ივლისს კი, საღამოს, სერბეთისკენ გავეშურებით. ევროპის ჩემპიონატი 8-16 ივლისს ჩატარდება.

- როგორ ფორმაში არიან მოკრივეები?

- ყველა ნორმალურ კონდიციაშია. მართალია, ორი მოკრივე ოდნავ მოგვიანებით შემოგვიერთდა, მაგრამ არც ისინი არიან ურიგო ფორმაში. საბედნიეროდ, ტრავმებიც არ აწუხებთ.

- რამდენ მედალს გეგმავთ ევროპის ჩემპიონატზე?

- ჩემი აზრით, მინიმუმ, ორი მედლისთვის ბრძოლა სავსებით რეალურია.

- კონკრეტულად, რომელ მოკრივეებზე ამყარებთ ყველაზე დიდ იმედებს?

- მომიტევეთ, მაგრამ ახლა გვარების დასახელებას მოვერიდები. იმ ექვსი მოკრივიდან, რომელიც სერბეთში მიმყავს, ყველა საუკეთესოა და ამიტომაც მაქვს თითოეულის იმედი.

დასასრულს, იმ მოკრივეთა სიას გადავხედოთ, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ: **კახა ლაზარაშვილი** (54 კგ), **ამირან ჯანჯღავა** (60), **გიორგი ხუტაშვილი** (64), **გაგა ელიავაშვილი** (69), **გიორგი დოლენჯაშვილი** (75) და **დავით გოგიაშვილი** (81). წესით, ევროპის პირველობაზე ექვსის ნაცვლად შვიდი მოკრივე უნდა წასულიყო, მაგრამ უფროსებსა და ახალგაზრდებში საქართველოს ნლევანდელ ჩემპიონ **მერაბ თურქაძეს** (51 კგ) ავადმყოფობის გამო უწევს საქართველოში დარჩენა. დანარჩენი ოთხი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები კი, ამ ეტაპზე, საევროპოდ სუსტად მიიჩნიეს და სერბეთში არ წაიყვანეს.

კობა ხატისაშვილი

ჟურნალისტიკა

მსოფლიო რეიტინგი

მონრეალის ძირითად ბადეში...

პლაუბურთის ქართული წყვილები **გეორ-გია** და **საქა-რთველო** დღეიდან მსოფლიო ტურის მორიგ, მონრეალის ეტაპში ჩაერთვებიან. მანამდე კი FIVB-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს ახალი რეიტინგი, სადაც კაცებში გეორ-გია 1 630 ქულით მე-13 ადგილზეა. გაცილებით უარესი მაჩვენებელი აქვს საქა-რთველოს: ქალთა წყვილებს შორის მათ 362 ქულა დააგროვეს და მე-40 ადგილზე იმყოფებიან.

აღსანიშნავია, რომ მონრეალში ჩვენი ორივე წყვილი ასპარეზობას ძირითად ბადეში დაიწყებს, რაც მეტი სარეიტინგო ქულების მოპოვებისა და კლასიფიკაციაში უკეთესი ადგილის დაკავების საშუალებას იძლევა.

ბესიკ ჯანგავაძე

მთა და ადამიანები

მესტიის ახალი პერსპექტივა

სვანეთის ალპინისტური და ტურისტული შესაძლებლობებით, ბოლო ხანებში არაერთი უცხოური ორგანიზაცია და სააგენტო დაინტერესდა. ადგილობრივი ახალგაზრდა მეგზურების დახმარებით, შესაძლებელი გახდა ოთხი ქვეითი და ერთი საცხენოსნო მარშრუტის დაკვალვა-მარკირება თანამედროვე სტანდარტების და მოთხოვნების გათვალისწინებით. შეიქმნა სამთო-ტურისტულ მარშრუტებზე გამყოლებით მომსახურების სისტემა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ამ დღეებში მესტიაში გაიხსნა ოფისი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სვანეთის ალპინისტური და ტურისტული შესაძლებლობების უფრო ეფექტურ რეალიზებას. ცენტრის პრეზენტაციას დაესწრნენ ამერიკელთა წყვილის სტუმრობა სვანეთში, რომლებიც ცენტრის ახალშექმნილი ვებგვერდის "პირველი მერცხლები" გახდნენ.

თეჩიდი

გოგია მუხრან. დაიბადა 05.07.1971, რიყე, ზუგდიდი. ძალოსნობა (100, 105 კგ). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1994). 1995 წელს მსოფლიოს ჩემპიონატში მოიპოვა მცირე ბრინჯაოს მედალი ატაცში. იმავე წელს ევროპის ჩემპიონატში ატაცში მცირე ვერცხლის მედალი მიიღო. ატლანტის (1996) და სიდნეის (2000) ოლიმპიური თამაშების მონაწილე (შეჯიბრებას გამოეთიშა ტრავმის გამო).

თეიმურაძე თენგიზ. დაიბადა 05.07.-1967, ბათუმი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (90, 100 კგ). მსოფლიოს (1993) და ევროპის (1993) ჩემპიონატების მესამე პრიზიორი, სსრკ ჩემპიონი (1990) და მესამე პრიზიორი (1987). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ახალგზარდებს შორის (1985, 86). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ხაგელოვი ლერი. დაიბადა 05.07.1964, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა (100 კგ). 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 1988 წლის სეულის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი და 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე (ტრავმის გამო მესამე წრიდან გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოოდ - XIV ადგილი). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1985, 87, 90, 91, 93) და მესამე პრიზიორი (1995), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1985, 87, 88, 92), მსოფლიოს თასის მფლობელი (1991), მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებსა (1982) და ახალგაზრდებს (1983) შორის, სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 87, 88) და მეორე პრიზიორი (1990), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986). თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გამრავჯვებული. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1987). 1993-96 წლებში გამდიოდა რუსეთის სახელით. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (2000-04) და პირველი ვიცე-პრეზიდენტი (2004-იდან), საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1998-2004). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

NBA. ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ ᲛᲔᲯᲘᲥᲘ

ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲡᲘᲔᲢᲚᲛᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ



ᲠᲐᲨᲐᲠᲓ ᲚᲘᲣᲘᲡᲘ

ᲐᲠᲐ "ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ", ᲐᲠᲐ "ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ" ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ �გᲣᲜᲓᲘ "ᲡᲘᲔᲢᲚᲘ" - **ᲠᲐᲨᲐᲠᲓ ᲚᲘᲣᲘᲡᲛᲐ** ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲖᲘᲐᲜ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲐ ᲓᲐ "ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲛ ᲛᲔᲯᲘᲥᲘᲗᲐᲜ" 5-ᲬᲚᲘᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ. �გᲣᲜᲓᲘ ᲛᲐᲡ 78 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ, "ᲛᲔᲯᲘᲥᲘ" "ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘᲡᲐ" ᲓᲐ "ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘᲡ" ᲛᲔᲠᲔ, ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ �გᲣᲜᲓᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ.

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚ **ᲩᲝᲜᲡᲘ ᲑᲘᲚᲐᲠᲓᲗᲐᲜ** ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲐᲨᲐᲠᲓᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ Ა�გᲔᲜᲢᲗᲐ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲠᲯᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲖᲘᲐᲜ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲐ ᲓᲐ "ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲛ ᲛᲔᲯᲘᲥᲘᲗᲐᲜ" 5-ᲬᲚᲘᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ. ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲐᲡ 78 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ, "ᲛᲔᲯᲘᲥᲘ" "ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘᲡᲐ" ᲓᲐ "ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘᲡ" ᲛᲔᲠᲔ, ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲒᲣᲜᲓᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ.

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚ **ᲩᲝᲜᲡᲘ ᲑᲘᲚᲐᲠᲓᲗᲐᲜ** ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲒᲔᲜᲢᲗᲐ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲠᲯᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲖᲘᲐᲜ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲐ ᲓᲐ "ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲛ ᲛᲔᲯᲘᲥᲘᲗᲐᲜ" 5-ᲬᲚᲘᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ. ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲐᲡ 78 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ, "ᲛᲔᲯᲘᲥᲘ" "ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘᲡᲐ" ᲓᲐ "ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘᲡ" ᲛᲔᲠᲔ, ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲒᲣᲜᲓᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ.

ᲐᲠᲘᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲠᲐᲜᲢᲡ ᲝᲠᲜᲚᲘᲐᲜ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲣᲤᲝᲠᲛᲔᲑᲔᲡ, ᲝᲚᲝᲜᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ, ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ, ᲐᲜᲣ 1.2 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲐᲜ.

■ ■ ■

ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲘᲣᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ, "ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ" ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲑᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ **ᲒᲠᲐᲜᲢ ᲰᲘᲚᲡ,** ᲠᲝᲛᲚᲘᲪ 80 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ (ᲛᲘᲡᲘᲜᲘᲗ ᲗᲥᲛᲘᲗ) ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲡ "ᲤᲘᲜᲘᲥᲘᲡᲨᲘ" ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ. ᲐᲠᲘᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲠᲐᲜᲢᲡ ᲝᲠᲜᲚᲘᲐᲜ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲣᲤᲝᲠᲛᲔᲑᲔᲡ, ᲝᲚᲝᲜᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ, ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ, ᲐᲜᲣ 1.2 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘᲐᲜ.

■ ■ ■

"ᲡᲘᲔᲢᲚᲡ" ᲙᲘ, ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲐ. ᲛᲐᲠᲗᲝ **ᲙᲔᲕᲘᲜ ᲓᲘᲣᲠᲐᲜᲘ** �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲤᲐᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲠᲩᲐᲖᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲕᲡᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲒᲐᲡᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲐ, ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ "ᲡᲝᲜᲘᲥᲘᲡ" ᲡᲘᲔᲢᲚᲨᲘ, ᲗᲣ ᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲚᲡᲐ ᲕᲔᲒᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲒᲣᲜᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲬᲚᲕᲔᲣᲚᲘᲐ. ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ! ᲑᲚᲔᲣᲚᲘ, "ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝᲡ" ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲩᲘᲛᲔᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲐᲠᲐ, "ᲡᲝᲜᲘᲥᲡᲨᲘ" ᲐᲠᲪ **ᲓᲐᲜᲙᲐᲜᲘ** ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ **ᲯᲘᲜᲝᲑᲘᲚᲘ,** ᲗᲣᲛᲪᲐ "ᲡᲘᲔᲢᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ" ᲐᲛ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐᲪ ᲛᲘᲡᲬᲠᲔᲑᲐᲐ.

�გᲣᲜᲓᲛᲐ "ᲡᲞᲝᲠᲡᲘᲡ" ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ **ᲒᲠᲔᲒ ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲩᲘᲡ** ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲘ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ **ᲞᲘ. ᲯᲔᲘ. ᲙᲐᲠᲚᲔᲡᲘᲛᲝ** ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲪᲐᲓ ᲓᲐᲘᲧᲝᲤᲜᲐ.

ᲙᲐᲠᲚᲔᲡᲘᲛᲝᲡ "ᲡᲞᲣᲠᲡᲐᲛᲓᲔ" "ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲡᲐ" ᲓᲐ "ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲨᲘ" ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲐᲓ ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲘᲐ. "ᲣᲝᲠᲘᲝᲠᲗᲨᲘ" ᲘᲒᲘ ᲙᲘᲜᲔᲚᲐᲛ **ᲚᲐᲢᲠᲔᲚ ᲡᲞᲠᲘᲣᲔᲚᲛᲐ** ᲛᲘᲐᲮᲠᲩᲝ, ᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲪ �გᲣᲜᲓᲛᲐ ᲚᲐᲢᲠᲔᲚᲘ ᲔᲒᲠᲔᲕᲔ ᲒᲐᲡᲐᲪᲒᲚᲔᲚ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗᲐ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ.

"ᲩᲕᲔᲜᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲐ ᲙᲐᲠᲚᲔᲘᲛᲝᲡᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲡ "ᲡᲝᲜᲘᲥᲡᲘᲡ" ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ �გᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲡ 100 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲕᲔᲜᲓᲝᲑᲘᲗ", - ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ "ᲡᲝᲜᲘᲥᲡᲘᲡ" 30 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲛᲐ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲛᲐ **ᲡᲘᲛ ᲞᲠᲔᲡᲢᲐᲛ**.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

NBA. ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢ ᲞᲘᲡᲢᲝᲜᲖᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲩᲝᲜᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ

"ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲛᲒᲚᲘᲡ" ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲛᲘᲩᲘᲒᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲫᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲜᲘᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲬᲚᲘᲡ ᲭᲛᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲛ ᲛᲝᲔᲦᲝᲛ. "ᲞᲘᲡᲢᲝᲜᲖᲛᲐ" ᲨᲔᲣᲖᲚᲣᲓᲐᲕᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲭᲛᲝᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ Ა�გᲔᲜᲢᲘ, ᲐᲛᲑᲚᲘᲗᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲭᲔᲑᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ 22.4 ᲥᲣᲚᲐ (ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ), 6.6 ᲛᲝᲰᲡᲚᲜᲐ ᲓᲐ 2.4 ᲨᲔᲣᲓᲔᲒᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲘᲧᲝ.

ᲠᲐᲨᲐᲠᲓᲛᲐ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲚᲜᲝᲠᲐ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲥᲣᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲘᲧᲝ. "ᲡᲘᲔᲢᲚᲛᲐ" ᲚᲘᲣᲘᲡᲘᲡ 1998 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲠᲐᲤᲢᲖᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 32-Ე ᲜᲝᲛᲠᲐᲓ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ.

ᲠᲐᲨᲐᲠᲓᲡ "ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝᲨᲘ" ᲚᲘ�გᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ **ᲓᲣᲐᲘᲢ ᲰᲝᲕᲐᲠᲓᲘ** ᲓᲐᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲢᲐᲜᲓᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲜᲘᲡ. ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲭᲕᲔᲜᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ **ᲠᲝᲜᲡᲘ ᲑᲘᲚᲐᲠᲓᲘ** 5 ᲬᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ, 2004 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲣᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ 60 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲓᲘ.

ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲓ.

ᲩᲝᲜᲡᲘᲡ ᲓᲐᲥᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲛᲐ, ᲛᲫᲘᲛᲔ ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲛᲐ **ᲠᲐᲨᲘᲓ ᲣᲝᲚᲐᲡᲛᲐ,** ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲘᲗ ᲓᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ CNN-ᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ - ᲗᲣ ᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲕᲐ, ᲛᲐᲜᲓ ᲒᲐᲛᲩᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲕᲐᲠᲐ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲥᲝᲕᲔᲑᲘᲗᲘᲗ, �გᲣᲜᲓᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲨᲐᲜᲡᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ.

ᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲚᲔᲘᲛᲘᲔᲘᲥᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲡ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲢᲐᲜᲝᲑᲐ ᲗᲔᲛᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘ ᲐᲦᲐᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲗ, ᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ.

"ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ. ᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠ-ᲡᲐᲛ ᲙᲐᲪᲡᲐᲪ ᲗᲣ ᲣᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲝᲓ ᲓᲐᲕᲘᲢᲝᲕᲔᲗ, ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲡᲬᲝᲜᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲕᲮᲡᲜᲘᲗ", - ᲐᲛᲑᲝᲑᲡ "ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘᲡ" ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘ **ᲤᲚᲘᲞ ᲡᲝᲜᲓᲔᲠᲡᲘ.**

ᲘᲡᲘ, ᲡᲝᲜᲓᲔᲠᲡᲘᲪ �გᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐᲜ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲙᲘ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲣᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ **ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲛᲐᲙᲓᲐᲘᲔᲡᲗᲐᲜ** ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲕᲐ ᲣᲭᲘᲠᲓᲐ. ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲛᲝᲭᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲚᲐᲒᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲔᲙᲘᲡ ᲜᲣ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗᲝ.

"ᲞᲘᲡᲢᲝᲜᲖᲘᲡ" ᲑᲝᲡᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲗ �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡᲘ, ᲣᲝᲚᲐᲡᲘ, **ᲛᲐᲙᲓᲐᲘᲔᲡᲘ, ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲰᲐᲛᲘᲚᲢᲝᲜᲘ** ᲓᲐ **ᲢᲐᲘᲛᲝᲜ ᲞᲠᲘᲜᲡᲘ,** ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲠᲔᲑᲐᲓ ᲗᲐᲜᲐᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. "ᲞᲘᲡᲢᲝᲜᲖᲘ" ᲓᲐᲑᲔᲠᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐ �გᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲣᲛᲐᲢᲔᲑᲔᲜ.

"ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲛᲐ" "ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝᲨᲘ" ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲡ, ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚ **ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲝᲡ,** ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲮᲐᲖᲔᲚᲘ, **ᲤᲚᲘᲞ ᲛᲘᲣᲠᲘᲔ** ᲓᲐ **ᲚᲘᲜᲓᲡᲘ ᲰᲐᲜᲢᲔᲠᲘ** ᲙᲘ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ "ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘᲡᲐᲡ" ᲓᲐ "ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘᲨᲘ" ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡᲐ. ᲓᲠᲐᲤᲢᲖᲔ �გᲣᲜᲓᲛᲐ ᲐᲛ ᲐᲛᲪᲚᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ - **ᲡᲔᲛ ᲛᲔᲯᲘᲐ, ᲐᲠᲝᲜ ᲐᲤᲚᲐᲚᲝ** ᲓᲐ **ᲠᲝᲓᲜᲘ ᲡᲗᲐᲙᲘ** ᲙᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲢᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ 6-7 ᲥᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲔᲚᲘᲡ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡᲡ, ᲛᲐᲜ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ 17.1 ᲥᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ 7.2 ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲮᲣᲠᲐ. ᲩᲝᲜᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ "ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲐᲛᲓᲔ" "ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘᲡ", "ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘᲡ", "ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝᲡᲐ" ᲓᲐ "ᲓᲘᲜᲔᲡᲝᲢᲘᲡ" ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲗᲐᲛᲐᲨᲘᲐ, 9-ᲬᲚᲘᲐᲜ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲨᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ 14.5 ᲥᲣᲚᲐ ᲓᲐ 5.3 ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ



ᲩᲝᲜᲡᲘ ᲑᲘᲚᲐᲠᲓᲘ

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲘᲛᲔᲚᲘ

02:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-აშშ (LIVE).
04:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-პარაგვაი (LIVE).

HTB-ᲐᲚᲘᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ჩილე.
14:10 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ეკვადორი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 გასული სეზონის კრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ᲙᲡᲙ.
18:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ლიონი-სელტიკი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
20:25 ტოქ-შოუ - 2:1.
20:25 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ჩილე.
21:10 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ეკვადორი.
00:50 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

06:50 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-სოლტ ლეიკი.
08:35 ᲰᲝᲙᲔᲘ. NHL. სტენლ

ბრიუსტერი და კლიჩკო ფოტოგრაფებისთვის პოზირებენ

ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ

ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲨᲘ ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა - სანამ ერთმანეთს რინგზე შეხვდებიან, მეტოქეები წინასაბრძოლო მოთელვას პრესკონფერენციაზე გადიან ხოლმე. ხანდახან იმდენად მონდომებულები არიან, რომ იქვე იწყებენ ჩხუბს, ოღონდ არა სპორტულს, არამედ ქუჩურს.

მაგრამ ეს ტრადიცია არავის გახსენებია IBF-ის უკრაინელი ჩემპიონის, **ვლადიმირ კლიჩკოსა** და ამერიკელი **ლეიმონ ბრიუსტერის** პრესკონფერენციაზე, რომელიც გერმანიის ქალაქ კიოლნში ჩატარდა. უფრო მეტიც, ორივე მოკრივემ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა გამოავლინა. მათ ამის საბაბი ჰქონდათ კიდეც - ბრიუსტერი და კლიჩკო ერთმანეთს 2004 წელს შეხვედრიან (მაშინ ამერიკელმა ტექნიკური ნოკაუტით მოიგო) და კარგად უწყიან ერთმანეთის ავან-ჩავანი.

"წარსულზე არ ვფიქრობ. ან კი რატომ უნდა ვიფიქო, როცა ამ ორი ბრძოლის შედარებაც არ შეიძლება", - ამბობს კლიჩკო. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ, ბრიუსტერის ბანაკმა გაიხსენა მათი წინა ბრძოლა. ამერიკელის ასისტენტები ირწმუნებიან, რომ ამჯერადაც ბრძოლა ანალოგიური შედეგით დასრულდება.

ბევრმა ეს განცხადება წინასაბრძოლო ჩვეულ მოთელვად მიიჩნია, მაგრამ კიოლნის პრესკონფერენციაზე ლეიმონმა განაცხადა, ვლადიმირის გახელება არც მიფიქრია, უბრალოდ, ასე გამოვიდაო.

"ის ბრძოლა წარსულს ჩაბარდა, თუმცა ფაქტია, რომ მაშინ მე მოვიგე. მაგრამ გარწმუნებთ, მეც და ვლადიმირმაც კარგად ვიცით, რომ ამ ბრძოლის გახსენებით, მე მისი მწყობრიდან გამოყვანა არ მიფიქრია", - განაცხადა ბრიუსტერმა.

შეგახსენებთ, რომ პირველ ბრძოლაში, კლიჩკომ ბრიუსტერს მეოთხე რაუნდში ნოკდაუნი აგემა და გონგი რომ არა, ბრძოლას ალბათ ნოკაუტით მოიგებდა. მომდევნო რაუნდში კი ბრიუსტერი გამოცოცხლდა, რომელმაც უკრაინელი რინგზე ორჯერ დასცა და ამის გამო, რეფერიმ ტექნიკური ნოკაუტი დააფიქსირა.

იმ გამარჯვებით, ბრიუსტერმა (33-3, 29 ნოკაუტი) კლიჩკოს (48-3, 43 ნოკაუტი) WBO-ის საჩემპიონო სარტყელი წაართვა და ტიტული სამჯერ დაიცვა (**კეილი მიჰენს, ენდრიუ გოლოტას** და **ლუან კრასნიჩის** მოუგო), თუმცა შარშან ბელარუს **სერგეი ლიახოვიჩთან** წაგების შემდეგ დათმო. რაც შეეხება კლიჩკოს, ზუსტად მაშინ, როცა ბრიუსტერმა ლიახოვიჩთან წააგო, უკრაინელმა ამერიკელ **კრის ბერდს** ნოკაუტი აგემა და მას IBF-ის ტიტული აართვა.

"სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. ვლადიმირს მადლობას გადავუხდი იმისათვის, რომ მან კიდევ ერთხელ მომცა შანსი. მართალი გითხრათ, ბევრი მოკრივე არ მეგულება, ვინც ჩემთან ბრძოლას თავისი ნებით ისურვებს. მან კი ეს მეორედ გააკეთა", - ამბობს ბრიუსტერი.

რისი მადლობა, მასთან შეხვედრას სამი წელიწადია, მოუთმენლად ველი და ამ შანსს ახლა ხელიდან როგორ გავუშვებდიო, - აშკარად რევანშისთვისაა განწყობილი კლიჩკო. მისმა მწვრთნელმა **ემანუელ სტიუარდმა** კი ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინელი ბრწყინვალეადა მომზადებული და იოლად არაფერს დათმობს. თუმცა ისიც იცის, რომ მის შეგირდს ძალიან სერიოზული კონკურენტი ჰყავს.

"ბრიუსტერი მაგარი ბიჭია. ის კრივის ძველი სკოლის წარმომადგენელია და ორივე ხელით ერთნაირად ძლიერად ურტყამს. ისე, არც ვლადიმირია ნაკლები. მოკლედ, მაყურებელი თანამედროვეობის ორ საუკეთესო დამრტყმელს იხილავს. ვლადიმირი საუკეთესო ფორმაშია და არ მეგულება მოკრივე, ვინც ახლა მის დამარცხებას შეძლებს. მაგრამ ლეიმონთან ბოლომდე ფხიზლად ყოფნა მმართებს, თორემ შეცდომა ძალიან ძვირი დაგვიჯდება", - ამბობს სტიუარდი.

მერაბ ლორთქიფანიძე



ასაფა პაუელი

ᲐᲡ ᲛᲔᲢᲠᲖᲔ სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენმა, იამაიკელმა **ასაფა პაუელმა** გამოაცხადა, რომ ტრავმის გამო, მონაწილეობას არ მიიღებს ოქროს ლიგის მეორე, პარიზულ შეხვედრაზე, რომელიც პარასკევს ჩატარდება. ამგვარად, ის მილიონდოლარიანი ჯეკპოტისთვის მოპაექრეთა რიგებს გამოაკლდა.

პაუელმა საზარდულის ტრავმა იამაიკის ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობისას მიიღო. მან მაინც სცადა ფინალში გამოსვლა, მაგრამ ტკივილი გაუძლიერდა, რის გამოც, შუა გზაზე ტემპი დააგდო. ტკივილის მიუხედავად, მან ფინიშს მაინც არცთუ ურიგო დროში - 10.04 წამში მიაღწია, მერე კი ზურგზე გადაწვა და სამი წუთი არ განძრეულა. თანაგუნდელთა დახმარებით, მან ფეხზე წამოდგომა შეძლო.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ

ᲞᲐᲣᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ

პაუელი არც ოქროს ლიგის რომაულ შეხვედრაზე გამოვა. სამაგიეროდ, იმედოვნებს, რომ ოსაკას (იაპონია) მსოფლიო ჩემპიონატისთვის (25 აგვისტოს იწყება) მწყობრში ჩადგომას მოასწრებს.

შეგახსენებთ, რომ ოქროს ლიგის მილიონიანი ჯეკპოტი იმ სპორტსმენებს შორის ნაწილდება, რომლებიც სერიის ყველა, ექვსივე შეხვედრაზე მოიგებენ თავიანთ დისციპლინებს. შარშან ჯეკპოტი პაუელმა 400 მეტრზე მორბენლებთან, იამაიკაში დაბადებულ ამერიკელ **სანია რიჩარდსსა** და ამერიკელ **ჯერემი უორინერთან** გაიყო.

ᲟᲣᲡᲢᲘᲜᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘᲐ

იმის მიუხედავად, რომ წვიმის გამო, ორშაბათი და სამშაბათი ნაწილობრივ გაცდა, უიმბლდონს უკვე ჰყავს ორი ნახევარფინალისტი. ფინალის საგზურისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** და ფრანგმა **მარიონ ბარტოლიმ**.

გუშინვე, რამდენიმე ისეთი შეხვედრა დასრულდა, რომლებიც ჯერ კიდევ შაბათს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ისევ-დაისევ, უამინდობისა და ტურნირის უცნაური ტრადიციის (უიმბლდონზე კვირაობით არ თამაშობენ) გამო, გუშინდლამდე გაიწელა. ასეთთა შორის, ესპანელი **რაფელ ნადალისა** და შვედი **რობინ სოდერლინგის** შეხვედრაც იყო, რომლის შემდეგაც, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ტურნირის ორგანიზატორებს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა.

ნადალმა ჯერ სოდერლინგი აკრიტიკა. *"ერთხელ ბადესთან ახლოს დავეცი და ერთი არ უკითხავს, ხომ არ მოგეშველო, ან ვწუხვარო. როცა ერთ მატჩს ოთხი დღე თამაშობ, ასეთი საქციელი ნორმალურად არ მეჩვენება"*, - განაცხადა ნადალმა.

ამაზე შვედმა მიუგო, როცა გამიმართლებს და ქულას ავიღებ, ამის გამო მეტოქეს ბოდიში რატომ უნდა მოვუხადოო. ასეთ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევო.

უფრო მეტიც, სოდერლინგის თქმით, ნადალი ხშირად ალოდინებდა ხოლმე მოწოდების წინ, რისთვისაც სხვადასხვა მიზეზს იყენებდა. მერე კი, როცა ერთხელ მეც იგივე გავაკეთე, თავის ქნევა დაიწყოო.

მერე ნადალი ტურნირის ორგანიზატორებსაც მისდგა - პირველ კვირაში რომ ამდენი თამაში გადაიდო, ამის შემდეგ კვირის უქმობა შეცდომა იყოო. მისი ეს მოსაზრება სრულად გაიზიარა სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმაც**. კვირას რომ კორტზე გამოსვლის საშუალება მოგვცემოდა, ახლა მესამე ნრე სათამაშო აღარ იქნებოდაო.

"მათ (ტურნირის ორგანიზატორებმა) ამინდის პროგნოზი იცოდნენ და ამის მიუხედავად, კვირას მაინც არ გვათამაშეს. არადა, მშვენიერი ამინდი იყო და ამ შეხვედრებს მაშინვე დავასრულებდით", - განაცხადა სერბმა ჩოგბურთელმა.

გუშინ ორი ისეთი შეხვედრა შედგა, რომლებიც ფინალებსაც დაამშვენებდა. მათში უიმბლდონის სამი ყოფილი ჩემპიონი მონაწილეობდა, ერთი კი ფინალისტი. ერთში ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** რუს **მარია შარაპოვას** იოლად მოუგო, მეორეში კი მისი და **სერენა უილიამსი** დაძაბულ პაექრობაში დამარცხდა ანენთან.

ტურნირის დასაწყისში ვენუსი წუწუნებდა, ფორმაში არ ვარ და ჩემთვის პირველი კვირის ჩამთავრებაც კი მიღწევა იქნებაო. ახლა კი მეოთხედფინალშია და თანაც, გზიდან ტურნირის ფავორიტი შარაპოვა ჩამოიცილა.

ორი თვეა შარაპოვას მხრის ტრავმა აწუხებს, რომელზეც მუდმივად მკურნალობს და პარალელურად, არც ტურნირებში მონაწილეობას ერიდება. ამის მიუხედავად, მაინც კარგად თამაშობს, თუმცა ვენუსისნაირი მეტოქეების წინააღმდეგ თამაში მაინც უჭირს. პირველ რიგში იმიტომ, რომ ძლიერად და ზუსტად ვერ აწოდებს, ეს კი მეტოქეებისთვის სერიოზული ფორაა.

რა თქმა უნდა, ასეთ ფორას ვენუსისდარი გამოცდილი ჩოგბურთელი ხელიდან ვერ გაუშვებდა. ჰოდა, რუსმა პირველი სეტი თითქმის უბრძოლველად დათმო - ხუთი ორმაგი და 12 უნებლიე შეცდომა დაუშვა და მხოლოდ ერთი გეიმი მოიგო.

მეორე სეტი ახალი დაწყებული იყო, რომ ამინდი გაფუჭდა. თამაში ორი საათით შეწყდა, ანგარიში კი ამ დროს 1:1 იყო. თითქოს, პაუზას შარაპოვას სასარგებლოდ უნდა ემოქმედა. მესამე გეიმი, რომელშიც შარაპოვა აწოდებდა, ოცი წუთი გაგრძელდა. ანგარიში 13-ჯერ იყო თანაბარი. რუსმა ეს გეიმი მოიგო, მაგრამ მეშვიდე გეიმში ვენუსმა მაინც შეძლო ბრეიკის აღება და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. გამარჯვება კი ისევ შარაპოვას სერვისზე მოიპოვა მას შემდეგ, რაც რუსმა წაღმა დარტყმული ბურთი ბადეს მოახვედრა.

რაც შეეხება სერენას, მას მარცხენა წვივი შეხვეული კი ჰქონდა, მაგრამ თამაშის დროს, სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან** თამაშისას მიღებული ტრავმის კვალიც აღარ ეტყობოდა. ამერიკელმა ტანმორჩილ ბელგიელთან საფრანგეთის ღიას მეოთხედფინალშიც წააგო და მას ამჯერადაც ვერაფერი მოუხერხა. შეგახსენებთ, რომ ჟუსტინის საკარიერო კოლექციას დიდი სლემის ერთადერთი ტურნირის, უიმბლდონის ტიტული აკლია.

პირველი სეტი კარგა ხანს ქულა-ქულაში მიდიოდა. მაგრამ მეცხრე გეიმში სერენა გატყდა. რა თქმა უნდა, ეს, პირველ რიგში, მისი ხშირი შეცდომების ბრალი იყო. მაგრამ ბრეიკის მოსაპოვებლად, ჟუსტინიც კარგად გაისარჯა, რომელმაც მომდევნო გეიმში, საკუთარ სერვისზე იოლად მიიყვანა სეტი გამარჯვებამდე.

მეორე სეტი ამერიკელისა იყო. ბრეიკს მან შუა სეტში მიაღწია, სეტი კი "ქორის თვალის" წყალობით მოიგო - სეტზე რომ აწოდებდა, გვერდითმა მსაჯმა შეცდომით აუტი დაიყვირა, მაგრამ სერენამ ჩანაწერის ნახვა მოითხოვა და როგორც აღმოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ.

სეტებს შორის შუალედში, ჟუსტინმა თავისი მწვრთნელის, **კარლოს როდრიგესისგან** რჩევა-დარიგება მიიღო, რაც კარგად გამოიყენა - ექვსი გეიმის შემდეგ, ის 5:1-ს იგებდა. მაგრამ შემდეგ სერენას ჯერი დადგა, რომელმაც ერთი ბრეიკის გაქვითვა შეძლო და მეორისთვისაც გაისარჯა. თუმცა უფრო მეტს ვეღარ მიაღწია. ჟუსტინმა პირველი მატჩ პოინტი ვერ გამოიყენა - ხელუკუღმა დარტყმული ბურთი ბადეს მოარტყა. სამაგიეროდ, მეორე მატჩ პოინტზე შეცდომა სერენამ დაუშვა - ბურთი კორტის პერიმეტრს გადააცილა.

გუშინ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა: კაცების წყვილებში ყველაზე ხანგრძლივი გადამწყვეტი გეიმი დაფიქსირდა. მასში ბრაზილიელების, **მარსელო მელოსა** და **ანდრე სას** დუეტმა 28:26 მოუგო ავსტრალიელი **პოლ ჰენლისა** და ზიმბაბველი **კევინ ულიეს** წყვილს (ბრაზილიელებმა შეხვედრა 5:7, 7:6, 4:6, 7:6, 28:26, ხუთ საათსა და 58 წუთში მოიგეს). საინტერესოა ისიც, რომ ეს შეხვედრა ოთხი დღე გრძელდებოდა.

რაც ჩოგბურთში ტაიბრეიკები შემოიღეს (1973 წელს), წყვილების ერთ შეხვედრაში 102 გეიმი არავის უთამაშია. ბრაზილიელებს 12 წუთი კიდევ რომ ეთამაშათ, მატჩის ხაგრძლივობის რეკორდიც დაემხობოდა. ეს რეკორდი შარშან ავსტრალიელმა **მარკ ნოულზმა** და კანადელმა **დანიელ ნესტორმა** დაამყარეს მას შემდეგ, რაც მეოთხედფინალში შვედი **სიმონ ასპელინისა** და ბრიტანელი **ტოდ პერის** დუეტს აჯობეს.

უფრო მეტი გეიმი კი 1968 წლის უიმბლდონზე დაფიქსირდა - ერთი შეხვედრის საწყის სეტში მეტოქეებმა 62 გეიმი ითამაშეს. თუმცა, "ოლ ინგლენდ კლაბის" კორტებზე, გადამწყვეტ სეტში აქამდე 54 გეიმი არავის უთამაშია.

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲠᲬᲔ

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-რობინ სოდერლინგი (შვედ, 28) 6:4, 6:4, 6:7(7), 4:6, 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 7:6(4), 6:7(6), 6:2, 7:6(5)

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲠᲬᲔ

ენდი როდიკი (აშშ, 3)-პოლ-ანრი მატიო (საფ) 6:2, 7:5, 7:6(6); **რიშარ გასკე (საფ, 12)**-ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) 6:4, 6:3, 6:4

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲠᲬᲔ

ვენუს უილიამსი (აშშ, 23)-მარია შარაპოვა (რუს, 2) 6:1, 6:3

ᲛᲔᲩᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-სერენა იულიამსი (აშშ, 7) 6:4, 3:6, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 18)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 31) 3:6, 6:3, 6:2

ჟუსტინ ანენი

ᲓᲐᲠᲔᲯᲣᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
** თენგიზ გაჩეჩილაძე**

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
პაატა გელაშვილი

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
მაგუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გეს�d ჯანგავაძე

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლეცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრაქელიძე, მაგუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ᲤᲝᲢᲝ
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მიხეილ ჯაში

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩიჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ